ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 6 აგვისტო, 2013 | №184 (6185) | ფასი: 30 თეთრი

ზვიად ძიძიგურის ოჯახის წევრები ავარიაში მოყვნენ

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, ზვიად ძიძიგურის ოჯახის წევრები ავარიაში დასავლეთ საქართველოში მოყვნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ავტომანქანაში მეუღლე და შვილებიც იმყოფებოდნენ, საჭეს მისი ძმა მართავდა. ოჯახის წევრების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დასავლეთში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ „ტაბლოიდმა“ ზვიად ძიძიგურის დასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. მარინა ძიძიგურის თქმით, ავტომანქანაში მყოფი პირებიდან 4 ადამიანი დაშავდა, მათ შორის დეპუტატის 3 წლის შვილი – ელენე. შემთხვევის დროს, ავტომანქანაში ძიძიგურის კიდევ ერთი მცირეწლოვანი შვილი – 5 წლის ვაჩე იმყოფებოდა.

სასწრაფო სამედიცინო დამხარების ექიმის თქმით, ზვიად ძიძიგურის მეუღლეს, ეკა კუტალიას და ძმას, კობა ძიძიგურს ტრავმული შოკი აქვთ. ეკა კუტალიას აღენიშნება მარჯვენა წვივის ღია მოტეხილობა და მარცხენა ბარძაყის მოტეხილობა.

ათბ-ნიუსი

„გივი თარგამაძე რუსებს გორის დაბომბვის სანაცვლოდ ათობით ათას დოლარს სთავაზობდა“

„სამარცხვინო და სასაცილოა გივი თარგამაძის მხრიდან ნინო ბურჯანაძის მოღალატეობაზე საუბარი, როდესაც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე პირდაპირ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუს მფრინავებთან და ათობით ათას დოლარს სთავაზობდა გორის დაბომბვის სანაცვლოდ“.

გვ.5

ჯონდი ბაღათურია: „შემოდგომაზე „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე დეპუტატი დატოვებს“

გვ.2

სამართლიანობის აღდგენის პროცესს ივანიშვილი აფერხებს

თეა წულუკიანი: „კანონიერი ქურდობა სისხლის სამართლის დანაშაულად დარჩება“

გვ.4

ნანა დევდარიანი: „სააკაშვილმა დანაშაული უნდა აღიაროს“

გვ.2

შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილის გადადგომის მოთხოვნით მრავალათასიანი აქციები გაიმართება“

გვ.5

ნინო ბურჯანაძე: „ადამიანები ადეკვატურად ხედავენ, თუ ვის შეუძლია უმთავრესი პრობლემის მოგვარება“

გვ.6

ქართველმა სპორტსმენმა პოლიციელებმა ძიუდოში 3 ოქროს მედალი მოიპოვეს

გვ.3

ISSN 1987-9385

6 ბანკები და მოსახლეობა ერთმანეთს სააკაშვილმა დააპირისპირა

4 ეკონომიკის მინისტრი დავით ბაქრაძესთან შესახვედრად მზად არის

6 სალომე ზურაბიშვილი: „დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა წინაპირობებით არ იწყება“

4 სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეთა დასჯის მოთხოვნით აქცია გაიმართა

ჯონდი ბაღათურია: „შემოდგომაზე „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე დეპუტატი დატოვებს“

სამართლიანობის აღდგენის პროცესს ივანიშვილი აფერხებს

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ქართული დასის ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

– ბატონო ჯონდი, კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ კობა დავითაშვილის წამოსვლის შემდეგ მოვისმინეთ ასეთი შეფასებები, რომ კობა პირველი მერცხალია, მას კიდევ ბევრი წამოყვებაო. თქვენ რას ფიქრობთ ყოველივე ამაზე?

– სხვათა შორის, მე განვაცხადე, რომ პირველი ბარტყი ამოვარდა ივანიშვილის ბუდიდან-თქო... იცით რა არის, კოალიცია „ქართული ოცნება“ თავიდანვე ეკლექტური გაერთიანება იყო. იქ არის სხვადასხვა პოლიტიკური დღის წესრიგის და სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესების მატარებელი ძალები. მათ შორის არის პოლიტიკური წონის და მენკანტილური ინტერესების კონფლიქტი და, შესაბამისად, მე არ გამკვირვებია, როდესაც მოვისმინე, რომ კოალიციის ერთ-ერთმა წევრმა დატოვა კოალიცია.

– და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დასაწყისია?

– დიახ, მე მაქვს ინფორმაცია, რომ შემდგომში უმრავლესობას კიდევ დააკლდება წევრები.

– რა ხდება, ბატონო ჯონდი, ვერ გაამართლა „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოების იმედები?

– „ქართულმა ოცნებამ“ აშკარად ვერ გაამართლა ქართველი საზოგადოების მოლოდინები. „ქართული ოცნების“ და პარლამენტის წევრთა დიდმა ნაწილმა გამოიჩინა გაუგონარი სულმოკლეობა, სიხარბე და მათ სიხარბეს და ანგარებას შეეწირა ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქის და ასევე სახელმწიფო ინტერესები. ასეთი ანგარებითი ქმედების შედეგია ეს გარიგება ნაციონალურ მოძრაობასთან ხალხის ზურგს უკან, რომელმაც გაამძაფრა უსამართლობის განცდა ქართულ საზოგადოებაში. ამის შედეგია ჩავარდნილი სასამართლო რეფორმა, აშკარად ჩავარდნილი უმრავლესობის უპრინციპობით. ამის შედეგია ის, რომ სოციალური რეფორმები ძალიან დაბალი ტემპით მიმდინარეობს, თუმცა



აქვე უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არის მცდელობა, რაღაც რეფორმები გატარდეს. მე ვაფასებ ჯანდაცვის მინისტრის ამ მცდელობებს. თუმცა მოლოდინი რომ მეტი იყო, ალბათ დამეთანხმებით. არ იქმნება სამუშაო ადგილები, პირიქით, ხალხი კარგავს სამუშაო ადგილებს. სწორედ ასეთი ანგარების შედეგია, რომ მაჟორიტარების უმრავლესობა გადაიქცა თავის რაიონებში ფეოდალებად, როგორც ამას აფასებს პრემიერ-მინისტრი და მე მას ამაში ვეთანხმები. მაჟორიტარები ძირითადად დაკავებულები არიან საკუთარ განცხრომაზე ზრუნვით.

– ვერ გაამართლა მაჟორიტარების ინსტიტუტმა და პრემიერი მის გაუქმებას არ გამორიცხავს...

– ამას ეთანხმება ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრის აბსოლუტური უმრავლესობა და ეს საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. ეს იქნება მართებული, რაციონალური და სამართლიანი გადაწყვეტილება. ბევრმა მაჟორიტარმა თავი შეირცხვინა და ეს ინსტიტუტი აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

– სასამართლოს რაც შეეხება, ჩვენ ვნახეთ გასულ კვირას, რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით. რა ხდება, ვერ განხორციელდა ქვეყანაში სასამართლო რეფორმა?

– სასამართლო რეფორმა ჩავარდა, ეს ჩააგდო „ქართულმა ოცნებამ“, საპარლამენტო უმრავლესობამ და ეს ჩააგდო თავისი უპრინციპობის გამო. მეტი პრინციპულობა და თავმოყვარეობა რომ გამოეჩინა პარლამენტის წევრების მეტ ნაწილს, მაშინ ასე არ მოხდებოდა. რა თქმა უნდა, აქ არის იუსტიციის სამინისტროს ხარვეზიც, მაგრამ ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის პარლამენტზე. პარლამენტს რომ სასამართლო რეფორმა გაეტარებინა იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო თავიდან განსაზღვრული, ჩვენ გვექნებოდა საკადრო რეფორმა მინიმუმ დაწყებული მაინც, რა თქმა უნდა, ასევე გვექნებოდა ინსტიტუციალური რეფორმა. ის მოსამართლეები, რომლებმაც შექმნეს სამარცხვინო სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ნული მთელი ერთი მეათასედი პროცენტი იყო გამამართლებელი განაჩენები, დღეს ჭკუის სწავლების ტონით არ დაგველაპარაკებოდნენ. მაგრამ ეს ასე მოხდა. შესაბამისად, ჩვენ უკვე ვეღარ ვხედავთ ამ პარლამენტში ვერც მორალურ და ვერც ინტელექტუალურ რესურსს, რომ ამ პარლამენტმა დაძლიოს ის ბარიერები, რომელიც ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ამიტომ თანდათანობით ძალიან აქტუალური ხდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების თემა. ეს საკითხი შემოდგომაზე კიდევ უფრო გამწვავდება და კიდევ უფრო დაპირისპირების ხასიათს მიიღებს. რაც შეეხება ბაჩო ახალაიას თემას, ბაჩო ახალაია არ არის სასამართლოს შედეგი, ბაჩო ახალაიას საკითხი არის შედეგი „ქართული ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის გარიგების. ზოგადად თქვენ თუ დააკვირდებით, ახალაიას, მერაბიშვილს და ყველა იმ პირს, ვის მიმართაც რაიმე საქმე არის წამოწყებული, წაყენებული აქვს ძალიან სუსტი, მე ვიტყოდი, უსუსური ბრალდებები. როგორც კი ბაჩო ახალაიას ბრალწაუყენეს იმაში, რომ თურმე ვაშლს თლიდა და მერე იმ დანის ტარი ვიღაცას ჩაარტყა და ორი წვეთი სისხლი წამოუვიდა, მე მივხვდი, რომ ეს კომიკური ბრალდება ხუმრობა არ იყო და ეს იყო შედეგი გარიგების და ასეთი ბრალდებები ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ დრო გაეწელათ და საზოგადოებაში აგრესია ახალაიების და ზოგადად ნაციონალური მოძრაობის ასეთი ოდიოზური ფიგურების მიმართ შენელებულიყო. თუმცა, ძალიანაც შეცდნენ, რადგან, წლები რომ გავიდეს, ხალხში ეს განწყობა არ შერბილდება და მინდა ვთქვა, რომ მერე უფრო მკაცრად დაისჯებიან ნაციონალური მოძრაობის ის წევრები, რომლებიც კონკრეტულ დანაშაულს ჩადიოდნენ, ვიდრე დღეს. ასევე კომიკურია ის ბრალდებები, რომელიც დღეისათვის დარჩა ბაჩო ახალაიას. მე იმიტომ გავაკეთე ასეთი ვრცელი კომენტარი, ამით იმის თქმა მინდა, რომ ბრალდებები იყო უსუსური და ბრალი არ წაყენებიათ რეალურად იმ დანაშაულებებში, რაშიც საზოგადოება ბრალს დებს და რაშიც რეალურად არიან ისინი დამნაშავეები. ასეთ სუსტ ბრალდებებს რომ ასეთი ფინალი ექნებოდა, ეს თავიდანვე ცხადი იყო. ამ შემთხვევაში სასამართლოს დანაშაული კი არ არის, დანაშაულია პროკურატურის, რომელმაც ასე სუსტი ბრალდებები წარუდგინა. მას გაცილებით მძიმე დანაშაულებები აქვს ჩადენილი.

– კბილაშვილი აცხადებს, რომ დღეს ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა, პროკურატურაში კვლავ ძველი პროკურორები მუშაობენ და რატომ გიკვირთ, პროკურატურის ასეთი მუშაობაო. არჩევნების შემდეგ ჩვენ ახალ მანქანაში გადავსხდებითო და თქვენ როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ შეიცვლება რეალურად ვითარება?

– მე ეჭვი მეპარება, რომ რაიმე შეიცვალოს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ეს არის უბრალოდ გარიგების შედეგი. ამ გარიგებს ავტორები კი არიან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შორის, პრემიერ-მინისტრი არის ერთ-ერთი შემაკავებელი სამართალდამცავების და პროკურატურის. იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ის აკავებს სამართლიანობის აღდგენის პროცესს. ამიტომ მე ეჭვი მეპარება, რომ არჩევნების შემდეგ რამე შეიცვალოს მათ განწყობებში. თუმცა ქართველი საზოგადოება უკვე დააყენებს ორივე ძალის პასუხისმგებლობის საკითხს – „ქართული ოცნებისას“ და ნაციონალური მოძრაობისას. მე ამას კარგად ვხედავ და როდესაც ამას ვამბობ, ნუ სწყინს ჩვენს კოლეგებს „ქართული ოცნებიდან“, უმჯობესია დაუფიქრდნენ, რატომ ვამბობ ამას და დაუფიქრდნენ, რატომ უშვებენ ასეთ მნიშვნელოვან შეცდომებს და რატომ არის ხალხი მათზე ასე გაღიზიანებული. იმიტომ, რომ ისინი მოიქცნენ უსამართლოდ! მიატოვეს ხალხი და დაკავდნენ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვით. ასევე ისინი აქტიურად ზრუნავენ ნაციონალური მოძრაობის იმ ბანდაზე, რომელიც მთელი 9 წელი დაკავებული იყო ხალხის ძარცვით, შეურაცხყოფით, მასობრივად გაუპატიურებით და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვით. აი, ასეთ ადამიანებზე ზრუნავენ. სწორედ ეს იწვევს ჩემს ასეთ განცხადებებს. მე არასოდეს არ ვყოფილვარ ჩასაფრებულის პოზიციაში, მით უმეტეს, ახლა არ ვიქნები, იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი და თანამებრძოლია. არის რაღაცები, რასაც ვაფასებ. მე არ ვივიწყებ იმ ღვაწლს, რაც პრემიერ-მინისტრმა გასწია და ვუფასებ ამას, უმადური ნამდვილად არა ვარ. მის მიერ გაწეულ შრომას ყოველთვის დავაფასებ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობა თავზე დაგვასვას.

– რა პროცესებს ელით საპრეზიდენტო არჩევნებისთვის?

– პროცესები აუცილებლად გამწვავდება შემოდგომისთვის. ასევე ველი პოლიტიკურ არასტაბილურობას. ამას იწვევს ხელისუფლების უკიდურესად შერყეული ავტორიტეტი. ნამდვილად ვერ ვხედავ იმის რესურსს, რომ ხელისუფლება ამის გამოსწორებას შეძლებს. ნაპრალი კიდევ უფრო გაღრმავდება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ხომ საერთოდ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის გაქცევა პასუხისმგებლობისაგან. შესაბამისად, ეს კიდევ უფრო გაამწვავებს ურთიერთობებს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ძალიან აქტუალური გახდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხი. ასევე ამ გამწვავებას მოჰყვება კონკრეტული გადაწყვეტილებები. გაზაფხულზე რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალი იქნება.

ნანა დევდარიანი: „სააკაშვილმა დანაშაული უნდა აღიაროს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანთან

– ქალბატონო ნანა, როგორ აფასებთ სააკაშვილის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, გუნავას შეწყალებას ვგულისხმობ. რამდენად ბოროტად იყენებს თავის თანამდებობას?

– საერთოდ ცნობილია, რომ სააკაშვილი არასოდეს არ ეგუება ვითარებას. ამ შემთხვევაში ის ცდილობს, რომ აჩვენოს თავის მომხრეებს და ყველას, რომ ჯერ კიდევ პრეზიდენტია და ყველაფერი შეუძლია. მათ შორის შეუძლია ახლად დაპატიმრებული პირი შეიწყალოს. ეს თვისება მას იმთავითვე ახასიათებდა. ჩემთვის არაფერი უცნაური ამაში არ არის. ყოველთვის თავხედური დემონსტრაცია იყო იმის, რომ კობიტაცია თქვენთვის არის, მე რასაც მინდა, იმას გავაკეთებო.

– გამოდის, რომ მხოლოს ერთ მხარეს ევალება ეს კობიტაცია?

– საერთოდ არავის არაფერი არ ევალება. ამას სჭირდება ელემენტარული გამოცდილება, რომ რაღაცებს რომ გეუბნებიან და გავალდებულებენ, შენ შენი აზრი და პოზიცია უნდა გქონდეს ამასთან დაკავშირებით. შენი პოზიცია უნდა დაფიქსირო ამა თუ იმ შემოთავაზებაზე, თუ ეს არ შეგიძლია, მაშინ ყოველთვის ვიღაცა რაღაცას მოგახვევს თავს. კობიტაციაა ისიც, რომ მაგალითად დამნაშავე ციხეშია, არავინ ასამართლებს ლინჩის წესით, მაგრამ რაც ჩაიდინა, იამაზე პასუხს აგებს. კობიტაცია არ ნიშნავს იმას, რომ ვინც დანაშაული ჩაიდინა, ყველა დაუსჯელი უნდა დარჩეს.

– თუმცა ახალმა ხელისუფლებამ ეს სხვაგვარად გაიგო...

– გაიგო იმიტომ, რომ ადვილად ემორჩილება ზემოქმედებას და რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ კოალიციის წარმომადგენლებმა, რომ ჩვენზე ვერავინ ვერ მოახდენს ზეგავლენას, ეს ხომ თვალნათლივ ჩანს? თვალნათლივ ჩანს, რომ ძალიან ადვილია მათზე ზეგავლენის მოხდენა.

– რაც შეეხება სააკაშვილს, რამდენად მიდის ის პროვოკაციაზე და იწვევს საზოგადოებას?

– ის მთელი ცხოვრება ასე იქცევა. ყოველ შემთხვევაში, რაც პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა, იმის მერე სულ ასე იქცევა. დღეს არაფერი ახალი მას არ მოუგონია. მას ყოველთვის გასდიოდა ასეთი ქცევა და დღესაც ასე იქცევა. ახლა გამოდის და იძახის, რომ ფენიქსივით აღდგომის პროცესში არის ნაციონალური მოძრაობა.

– მოუწოდა კიდეც ნაციონალებს, რომ სექტემბერში შეიკრიბონ და ყრილობა ჩაატარონ, პარტია გადაახალისონ. რაღაც თამამ განცხადებებს აკეთებენ და ამ ხელისუფლებამ მისცა იმედები თავისი უუნარობით თუ რასთან გვაქვს საქმე?

– კი, ის ხედავს, რომ წინააღმდეგობას სათანადოდ ვერ უწევენ. მართლაც უუნარობა და უნიათობა ჩანს კოალიციის მხრიდან და ამით არის გათამამებული. ამის გარდა, მან ძალიან კარგად იცის, რომ საუკეთესო თავდაცვა, ეს არის თავდასხმა და იქით ესხმის თავს. რაც უფრო ახლოვდება მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის დრო, მით უფრო თამამი განცხადებები ექნება. სექტემბერში შეკრებისკენ რატომ მოუწოდა ნაციონალებს? ის უკვე ემზადება ოპოზიციური პარტიის ლიდერობისთვის. ოქტომბერში გუავა პრეზიდენტობის ვადა და მთელი მისი ყვირილი, რომ ოპოზიციას გვავიწროვებენ და პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი, ამას უკავშირდება სწორედ, რომ დაიბევოს ოპოზიციის ლიდერის ადგილი.

– რამდენად გამოუვა, ეს ალბათ სხვა თემაა...

– ეს დიდწილად დამოკიდებულია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე – ვინ გახდება პრეზიდენტი. თუ მარგველაშვილი გახდება, ყველა უნდა შეეგუოს, რომ ეს უკვე კობიტაცია კი არა, ეს იქნება პოლიტიკური რეანიმაცია სააკაშვილის. იმიტომ, რომ მარგველაშვილი რომ მას ვერანაირ ოპონირებას ვერ გაუწევს და დასჯაზე საერთოდ ლაპარაკი ზედმეტია და პასუხის მოთხოვნაზე, ეს თვალნათლივ ჩანს. ახლა მათი ამოცანაა, რომ ბაქრაძე რამენაირად გაიყვანონ მეორე ადგილზე, რომ მეორე ადგილი, როგორც მთავარი ოპოზიციისა, დაიკაონ და სააკაშვილმა გააგრძელოს პოპულისტობა ახლა ოპოზიციური

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გურამიშვილის გამზირზე მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყაჩაღობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი პირები: 1992 წელს დაბადებული ზვიად მ. და 1985 წელს დაბადებული გიორგი მ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა მესამე თანამზრახველთან ერთად, ღამის 10 საათზე, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მუქარით, თბილისში, გურამიშვილის გამზირზე მდებარე სადღეღამისო მაღაზია „შოკფასი“-ს მეპატრონეს 1700 ლარი და ოქროს სამკაული გასტაცეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ყაჩაღობაში მონაწილე მესამე პირის დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს. გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე სსსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ქართველმა სპორტსმენმა პოლიციელებმა ძიუდოში 3 ოქროს მედალი მოიპოვეს

„მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე,“ ქალაქ ბელფასტში, „შანკილის“ სპორტულ დარბაზში, ქართველმა პოლიციელმა-ძიუდოისტებმა წარმატებული ორთაბრძოლები გამართეს.

შინაგან საქმეთა სამინსიტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 81 კგ წონით

კატეგორიაში ნოდარ მჭედლიშვილმა იასპარეზა, ფინალური ორთაბრძოლა რუმინელ

ძიუდოისტთან წარმატებით დაასრულა და პირველ ადგილზე გავიდა. 90 კგ წონით კატეგორიაში კი ზაზა გულაშვილი ფინალში რუს ძიუდოისტს შეხვდა. ბრძოლა

ქართველის გამარჯვებით დასრულდა. ხოლო რაც შეეხება 100 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ბოლოთაშვილს, მან ფინალში გერმანელი სპორტსმენის დამარცხება შესძლო და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

ამ დროისათვის, ოლიმპიადაზე წარგზავნილ 16 ქართველ სპორტსმენს 4 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი აქვთ მოპოვებული. ისინი სპორტის 7 სახეობაში ასპარეზობენ და იმედოვნებენ, რომ ძიუდოში და ცურვაში მიღწეულ წარმატებას გააუმჯობესებენ და კიდევ შეძლებენ ოქროს მედლების მოპოვებას.

ნიუსპრესი

შეიარაღებულ ძალებს სულ უფრო ნაკლები სამხედრო მოსამსახურე ტოვებს

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტის გაგრძელების სურვილს სულ უფრო მეტი სამხედრო მოსამსახურე გამოთქვამს.

შიდა გამოკითხვის მიხედვით, 2013 წლის ივნისის მონაცემებით, ხელახალი კონტრაქტის გაფორმების სურვილი 90.60%-მა გამოთქვა. მაშინ რიდესაც, 2012 წლის ივნისის მონაცემებით, ახალი კონტრაქტი 71.40%-მა გააფორმა. 2009 წლის ივნისის მონაცემებით, კონტრაქტის გაგრძელების მსურველი 64.80% იყო, – იტყობინება ტავდაცვის სამინისტრო.

ხუთი წლის მონაცემების მიხედვით, შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტი ყველაზე მინიმალური პროცენტული მაჩვენებლით 2008 წლის დეკემბერში მხოლოდ 47.80%-მა გააგრძელა.

მედიანიუსი

პოლიციამ საკუთარი ცოლის ძმის მკვლელი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1969 წელს დაბადებული ბესიკ ა. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, მიმდინარე წლის 4 აგვისტოს, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში, ღამის საათებში, ურთიერთშელაპარაკებისას, საკუთარ ცოლის ძმას, 1985 წელს დაბადებულ დავით გამხვეტელაშვილს კუთვნილი ავტომანქანით დაეჯახა, შემდეგ კი ბლაგვი საგნით თავის არეში დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც დავით გამხეტელაშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და

საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბესიკ ა. მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

ბათუმში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოსა და აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივი ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან რამდენიმე წუთში მკვლელობაში ბრალდებული 1970 წელს დაბადებული ირაკლი ს. დააკავეს. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბრალდებულმა ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით მუცლის არეში ერთი სასიკვდილი ჭრილობა მიაყენა 1991 წელს დაბადებულ კოკა კეკელიას, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებული შემთხვევის ადგილთან ახლოს, ცხელ კვალზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი ამოღებულია.

ნიუსპრესი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი ხელმძღვანელი, ემზარ გოგუაძე ჰყავს. ის ღევან გახელაძეს პირველი სექტემბრიდან შეცვლის. საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, საბჭოს ხელმძღვანელის არჩევნებში 10 წევრი მონაწილეობდა. ემზარ გოგუაძემ ცხრა ხმა მიიღო, ერთმა წევრმა კი თავი შეიკავა.

ემზარ გოგუაძემ უკვე განაცხადა, რომ საბჭო სექტემბრიდან ახალ ფუნქციებს შეითავსებს. წლის ბოლომდე კი საბჭოს შემადგენლობა 13-დან 9 წევრამდე შემცირდება. ოთხ წევრს უფლებამოსილების ვადა პირველ სექტემბერს ეწურება. ემზარ გოგუაძე 2009 წლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრია.

ნიუსპრესი

ეკონომიკის მინისტრი დავით ბაქრაძესთან შესახვედრად მზად არის

ნათია ხურცილავა

ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით გუშინ ჟურნალისტების შეკითხვებს ეკონომიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა უპასუხა. როგორც კვირიკაშვილმა გვითხრა, ის მზადაა ყველა მხარეს შეხვდეს, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას და მოისმინოს მათგან წინადადებები. თუმცა, კვირიკაშვილის გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ყოფნის დროს რატომ არ აკეთებდა იმას, რასაც ახლა ხელისუფლებას სთავაზობს.

მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერთან, „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძესთან შეხვედრაზეც მზად არის.

როგორც კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველო პატარა ქვეყანაა და მთავრობამ, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციასთან უნდა ისაუბროს.

– გაკვირვებას იწვევს ის, რომ იმ საკითხების მოგვარება, რომლის ინიციატივით ოპოზიცია გამოდის, მათ თავის დროზე შეეძლოთ. რაც შეეხება აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

როგორც ცნობილია, დავით ბაქრაძე ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით გარკვეული ინიციატივებით გამოდის და მმართველ ეკონომიკურ გუნდთან შეხვედრას ითხოვს.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება დაფიქსირებული არ არის.

როგორც ჟურნალისტებს კვირიკაშვილმა განუცხადა, პროექტი გარკვეული პერიოდით დაკონსერვდება.

– გვინდა პროექტის განხილვა. არის მთელი რიგი ტექნიკური საკითხები, მაგალითად, გზის დახრილობა და ა.შ. რომელთა შესახებ წინასწარი გათვლები არ ყოფილა. ამიტომ პროექტი გარკვეული პერიოდით დაკონსერვდება და უკეთესი ტექნიკური გადაწყვეტილების შემუშავების შემდეგ ვფიქრობთ, რომ დავუბრუნდებით, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ვიცე-პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მსოფლიოში რეგიონული და ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სტრატეგიულ გეოგრაფიული ადგილმდებარეობა უპირატესობად რჩება.

აღნიშნული განცხადება ეკონომიკის მინისტრმა საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად ორგანიზებული, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილი სემინარის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

– როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესებაა, გზებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გადამზიდავ კომპანიებს შორის კონკურენციაა. საქართველოს მთავრობა აქტიურად აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით და ქვეყნის მასშტაბით მაგისტრალის გასწვრივ სხვადასხვა დასასვენებელი პუნქტების მოწყობას გეგმავს. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ერთობლივად ორგანიზებული აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილი სემინარი ჩატარდა.

გუშინ გამართულ შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ასევე, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში სოფელ აგარისა და სოფელ გომის შემოვლით გზებს შორის არსებული მონაკვეთის განახლება და აღნიშნული მონაკვეთის სოფელ ზემო ოსიაურთან დამთავრება მოხდება. ასევე, ნატახტარსა და ხაშურს შორის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და გზასთან დასაკავშირებლად საჭირო სამუშაოების ჩატარება განხორციელდება.

– აღნიშნული პროექტით დაფინანსებული იქნება ის საქმიანობა, რომელიც ამჟამად მიმდინარე აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის მესამე პროექტით დაგეგმილ პოზიტიურ ნაბიჯებს გააღრმავებს და ეს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული გზატკეცილის დასრულებაში წვლილის შეტანით მოხდება. მსოფლიო ბანკი ასევე საავტომობილო გზების სფეროში მოქმედი დაწესებულებების შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული ძალისხმევის მხარდაჭერას აგრძელებს. ქვეყნის მთავარ სატრანზიტო გზებზე მგზავრობის დროისა და ხარჯების შემცირება და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებული ამოცანის შესასრულებლად მიმდინარე სტრატეგიის ორი ძირითადი შედეგი უნდა იყოს, – განაცხადა სამხრეთ კავკასიის რეგიონში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რაშმი შანქარმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, წლის ბოლოს აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის განახლებული, 52-კილომეტრიანი მონაკვეთის გახნა იგეგმება.

ნარმანიამ აღნიშნული განცხადება ჟურნალისტებთან სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ აღნიშნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიების მიმდინარეობისას გააკეთა.

– ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი ჩვენი სამინისტროს სისტემაში, საერთაშორისო გამოცდილებაზეა დაფუძნებული, რაც ამ გამოცდილების შესწავლის საშუალებას გვაძლევს. მივიღე მკაფიო სიგნალი, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისადმი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერა გაგრძელდება არა მხოლოდ ამ ავტომაგისტრალის, არამედ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, – აღნიშნა ნარმანიამ.

დავით ნარმანიას განცხადებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა 2018 წლის ბოლოსთვის დასრულდება, გარდა რიკოთის მონაკვეთისა.

– რიკოთის მონაკვეთთან დაკავშირებით 2015 წლის გაზაფხულზე მსოფლიო ბანკი როგორც ტექნიკურ, ისე ფინანსურ ნაწილს შეისწავლის, – აღნიშნა ნარმანიამ.

ასევე გუშინ ცნობილი გახდა, რომ აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთზე სამუშაოები დაიწყება, რომელიც ასევე მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელდება.

– წლევანდელი წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ 52 კილომეტრ გზას გავხსნით დღეს არსებული მონაკვეთიდან ბათუმის შესასვლელამდე, სადაც არის გვირაბი. 2018 წლის ბოლოსთვის ყველა ძირითადი სამუშაო დასრულებული იქნება, – აცხადებს ნარმანია.

თეა წულუკიანი: „კანონიერი ქურდობა სისხლის სამართლის დანაშაულად დარჩება“

ნათია ხურცილავა

რუსეთის ფედერაციის პრემიერის დიმიტრი მედვედევის ინტერვიუში გაკეთებული განცხადებები საქართველოს ხელისუფლების წევრების კომენტირების საგანი ბუნებრივად გახდა.

მედვედევი ინტერვიუში დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბრობს. სწორედ აღნიშნული განცხადების კომენტირება სთხოვეს ჟურნალისტებმა იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს. წულუკიანის განცხადებით, დიპლომატიური ურთიერთობები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უნდა აღდგეს.

იუსტიციის მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და პრემიერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რის საფუძველზეც 2008 წელს რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა, შესაბამისად, ის ოკუპანტია.

– 2008 წლის აგვისტოში რუსეთი შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და ის დღესაც რამდენიმე კილომეტრში იმყოფება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიდან, ამიტომაც არის ის ოკუპანტი და უფრო მეტიც – ის ახორციელებს მცოცავ ანექსიას და ოკუპაციას. ჩვენ გვახსოვს სულ ახლახან მავთულხლართების ტრაგიკული ისტორია, როდესაც ისედაც შუაზე გაყოფილი სახლები და ქართული ტერიტორიები კიდევ ერთხელ მოხვდა მეორე მხარეს. ეს არის მოცემულობა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, ვერც ერთი სახელმწიფოს ვერც ერთი ხელმძღვანელის და, მით უმეტეს, რუსეთის მმართველი რგოლების შეფასებითი მსჯელობა, – განაცხადა წულუკიანმა.

გუშინ, კიდევ ერთი საკითხი, რაზეც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კომენტარი გააკეთა, ე.წ. კანონიერი ქურდების საკითხია.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ე.წ. „კანონიერი ქურდობა“ და ქურდული სამყაროს წევრობა საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულია და ასეც უნდა დარჩეს.

წულუკიანმა აღნიშნული კომენტარი 1286 პატიმრის განცხადებაზე გააკეთა. როგორც ცნობილია, 1286 პატიმრის განცხადების თანახმად, მსჯავრდებულები იუსტიციის მინისტრს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის გაუქმებას სთხოვენ, რომელიც ე.წ. „კანონიერი ქურდობისა“ და ქურდული სამყაროს წევრობისთვის პირის დასჯას ითვალისწინებს.

„კანონიერი ქურდობა“ და „კანონიერ ქურდთან“ კავშირი საქართველოში სისხლის სამართლის დანაშაულია და მე მიმაჩნია, რომ ეს ასეც უნდა დარჩეს. ძალიან ვწუხვარ, რომ შეიძლება, ზოგიერთი პატიმარი იმედით იყო განწყობილი, რომ გამოვიდოდა, მაგრამ მათ, ვინც სასჯელს იხდიან ქურდულ სამყაროსთან კავშირის ან „კანონიერი ქურდობისათვის“, უნდა მოიხადონ ის სასჯელი, რაც სასამართლომ მიუსაჯა, – განაცხადა წულუკიანმა.

გუშინ წულუკიანმა კორტავას გახმაურებულ საქმეზეც გააკეთა კომენტარი. წულუკიანის განცხადებით, გამოძიების დასადგენია, იყო თუ არა კორტავას საქმეში ე.წ. „კანონიერი ქურდების“ როლი.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებს აღნიშნული საქმის გამოძიების კომენტირებისას განუცხადა.

– კორტავას საქმის გამოძიება საკმაოდ ეფექტიანად მიდის და დადგინდება ყველა ოფიციალური პირის, მისი თანასაკნელის თუ თანამონაწილეების ვინაობა, ამ საქმეში ეჭვმიტანილ ადამიანებს ეს ინფორმაცია ეცოდინებოდა. ეს ინფორმაცია ეცოდინებოდა ამ ადამიანებს,

შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილის გადადგომის მოთხოვნით მრავალათასიანი აქციები გაიმართება“

შორენა მარსაგიშვილი

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში უკვე მეორედ ღებულობს მონაწილეობას. წინა არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწია, ამის მიუხედავად იმედი არ დაუკარგავს და ქვეყნის გადასარჩენად მზად არის. ქვეყნის გადარჩენას პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში გვპირდება.

მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. ამბობს, რომ ერთადერთი პოლიტიკოსია, რომლის რეიტინგიც ყოველდღიურად იზრდება.

– ივანიშვილის 7 მილიარდი აღარ მოიტანს იმ დივიდენდებს „ოცნებისთვის“, იმიტომ, რომ ხალხმა გამოსცადა, რას ნიშნავს ენდო მილიონერებს და მილიარდერებს. ვერც ადმინისტრაციული რესურსის და უკანონო საარჩევნო კანონმდებლობის იმედი და ოცნება იქნება გარანტია იმისა, რომ ხელისუფლება ამ გზით მოიპოვებს უპირატესობას.

სხვა ობიექტური ნიშნები მზარდი რეიტინგისა არავის არ აქვს და არც ექნება უახლოეს ხანში ჩვენ გარდა. ეს არ არის გადაჭარბებულად საკუთარი თავის შეფასება, ან რაღაცა ფობია, ეს გახლავთ ობიექტური რეალობა. რადგანაც ხალხი, რომელიც მოტყუვდა 2003 წელს და გაჰყვა ვარდების რევოლუციას ის მოტრიალებულია ჩვენკენ და ხალხი, რომელიც გაჰყვა ეფემერულ ოცნებებს მათი დიდი ნაწილიც ასევე ჩვენი ელექტორატი გახდება. მოტრიალების კოეფიციენტი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც დრო გავა. აქედან გამომდინარე, დღეს მზარდი რეიტინგი აქვს ერთადერთ კანდიდატს – შალვა ნათელაშვილს! – განაცხადა „ჯორჯიან ტაიმსის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა.

ქვეყნის პირველი ლეიბორისტი ნაციონალების და მეოცნებეების საპრეზიდენტო კანდიდატებს გაკოტრებულ პოლიტიკოსებად და შემოდგომის აზნაურებად მიიჩნევს. ნათელაშვილი გიორგი მარგველაშვილსა და დავით ბაქრაძეს სერიოზულ კონკურენტებადაც კი არ აღიქვამს.

– რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატებს, ისინი დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენენ გაკოტრებულ შემოდგომის აზნაურებს და გაპრეზიდენტების არანაირი შანსი არ აქვთ. თუ არ მოხდა ტოტალური გაყალბება, რევოლუცია, ან არნახული ზეწოლა მოსახლეობაზე. მათი გამარჯვება ან ერთის, ან მეორის, იქნება მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი დანაშაული და ასეთ დანაშაულს ჩვენი ხალხი და მსოფლიო არ გვაპატიებს. ამ შეფასებას მე ვაკეთებ არა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, არამედ როგორც საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი და იგივეს ფიქრობს მთელი საქართველო. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში არჩევნების გაყალბება და ყველა ბოროტება იწყება წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვებით და არჩევნების დღეს ეგზიტპოლებით. იმედია, დღეს ამ მასობრივი ზომბირების მსხვერპლი ჩვენ არ გავხდებით. არანაირი გამოკითხვა საქართველოში არ ტარდება. საქართველოში გამოკითხვები გადაიქცა ბიზნესის და მილიონების შოვნის საფუძვლად და ვინც უკვეთავს და ვინც იხდის იმის დაკრულზე ცეკვავენ ელიტარული საგამომკვლევო ორგანიზაციები და არასამთავრობო ფონდები. ერთხელ და სამუდამოდ ამ ეშმაკეულებს ჩვენ უნდა მივაფურთხოთ და მივხედოთ ჩვენს საქმეს. – განაცხადა ნათელაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატი ქვეყნის პრემიერს ცუდ მომავალს უნინასწარმეტყველებს. ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილს ურჩევს, რაც შეიძლება მალე დატოვოს თანამდებობა. ლეიბორისტთა ლიდერის აზრით, ივანიშვილის წინააღმდეგ მალე მრავალათასიანი აქციები დაიწყება.

– ივანიშვილი უნდა წავიდეს, ვიდრე დაიწყება მრავალათასიანი აქციები მისი გადადგომის მოთხოვნით და ეს აქციები გარდაუვლად დაიწყება შემოდგომაზე.

ეს იქნება პრემიერის ბრალი, რადგან მან დამნაშავე პოლიტიკურ ძალას – ნაციონალურ მოძრაობას მიანიჭა ოპოზიციონერის სტატუსი, ამით მისცა ხელშეუხებლობა რეჟიმის მთავარ დამნაშავეს და ძალიან მალე, სწორედ ამ სტატუსის გამო დაჭერილ მაღალჩინოსან პატიმრებსაც გამოუყრიან ციხიდან. ამიტომ, ივანიშვილი ჯობია უფრო ადრე წავიდეს, ვიდრე მას გეგმაში აქვს. ჩვენ მივხედავთ საქართველოს. ჩვენ გვაქვს ყველაზე დიდი რესურსი, რასაც ჰქვია ქართული გული და სიყვარული, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

მისი განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის დაშლის შემთხვევაში ივანიშვილს საპარლამენტო უმრავლესობაც ჩამოეშლება.

– ეს საკმაოდ პოზიტიური პროცესია, რომელიც ხელისუფლებიდან ივანიშვილ-სააკაშვილის ჩამოცილებით და პოლიტიკაში მათი ნეიტრალიზაციით დასრულდება. მე მზად ვარ, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა, ავიღო პასუხისმგებლობა, რათა ქვეყანა გაიწმინდოს სარეველებისაგან და ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გავაჯანსაღო პოლიტიკური სივრცე. მზად ვარ, გავაუქმო მაჟორიტარ დეპუტატთა ინსტიტუტი. საქართველოს არ აქვს საშუალება, შეინახოს საშოვარზე ამხედრებული 75 მაჟორიტარი დეპუტატი და მათი ნათესავები, – აღნიშნა ნათელაშვილმა.

გამარჯვებაში თითქმის დარწმუნებული ნათელაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის ელემენტარულ სასტარტო პირობებს ითხოვს. მას საარჩევნო კოდექსის შეცვლაც საჭიროდ მიაჩნია.

– ელემენტარული იმიტომ, რომ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს 7 მლრდ დოლარს, იმ ტელემედია ჰოლდინგებს და იმ საბიუჯეტო რესურსს, რასაც ფლობს ივანიშვილის და ნაწილობრივ, სააკაშვილის დაჯგუფებები. ამაზე ოცნებაც ზედმეტია, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ დაფინანსდნენ კანდიდატები, არა არჩევნების შემდეგ, არამედ არჩევნებამდე. არჩევნების შემდეგ აქეთ დავაფინანსებთ ივანიშვილსაც და სააკაშვილსაც, ოღონდ ციხეში – მათი კვებისა და შენახვის ხარჯებს. კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, თუნდაც, თანაბარი საეთერო-სარეკლამო დროით ისარგებლონ, საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილდნენ და ოფისები გახსნან. ამ პირობების გარეშე, თანაბარ სამართლიან არჩევნებზე საუბარი შეუძლებელია. ის, რაც უნდა გადმოაგდოს ამ კვირაში ივანიშვილის დაჯგუფებამ დაფინანსების სახით პოლიტიკურ პარტიებზე, საღი აზრის დაცინვაა, მაშინ, როდესაც ივანიშვილი მხოლოდ წალკის მაჟორიტარ დეპუტატს უხდის 65 ათასს, ვითომ მისი ბიუროს შენახვის ხარჯებს და ეს ფული მიდის მაჟორიტარი დეპუტატის ჯიბეში. ამ დროს პოლიტიკურ პარტიას და პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს თითო 65 ათასს, ჯამში კი 150 ათასს. ანუ, რასაც ყაზბეგის და წალკის მაჟორიტარი დეპუტატები მოიხმარენ, ის უნდა მოიხმარონ პოლიტიკურმა პარტიამ და პრეზიდენტობის კანდიდატმა. ეს ხომ ცინიზმია. დაფინანსება, რასაც პოლიტიკური პარტიები მიიღებენ, სასარგებლო საქმეს და პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღებას მოხმარდება. ეს ხომ არ არის თანხა, რომელსაც პარტია შეჭამს თავისი შეხედულებისამებრ, რომ 10 ათასი კონტროლიორი გამოიგონოს მოგელაძის ინსტიტუტით დაწყებული, „მოგელანდებით“ დამთავრებული. ეს მთლიანად უნდა წავიდეს საქმეში და პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღებაში. დამთავრდა დრო, როდესაც პოლიტიკური პარტიები აყაჩაღებდნენ ბანკებს და იმით ინახავდნენ „ბოლშევიკები“ ლენენის ემიგრაციის ხარჯებს. 21-ე საუკუნეა და ყველა პოლიტიკური პარტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. თუ ამათ უნდათ, რომ მე-19 საუკუნეში დაბრუნდნენ, მე მგონი, ეს ექსპერიმეტი ცუდად დამთავრდება, – აცხადებს ლეიბორისტების ლიდერი.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილს საერთაშორისო დამკვირვებლებიც შემოეკრიტიკა.

– სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო დამკვირვებლები, საუბედუროდ, საქართველოს ვითარებაში წარმოადგენენ მიცვალებულზე მისატან გვირგვინს, რომლებიც არჩევნების შემდეგ წერენ ნელთბილ დასკვნებს, საიდანაც თავსა და ბოლოს ვერ გაიგებ, რა უნდათ. იმედია, ამჯერად ასე არ იქნება, – აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

ქართული ლეიბორიზმის მამამ გუშინ ჩვენებური ბიზნესის გადარჩენის გზებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ბიზნესი არ განვითარდება თუ ის პოლიტიკას არ ჩამოსცილდება.

– უპირველეს ყოვლისა, ჩასატარებელია გარდაუვალი ოპერაცია, რათა პოლიტიკა გაიკვეთოს ბიზნესისგან, რათა პოლიტიკოსები, მათი ნათესავები და ოჯახის წევრები არ ყოფდნენ იქ ცხვირს და არ აფორმებდნენ „ოფშორებზე“ საკუთარ კომპანიებს, სადაც უკვე ბიუჯეტის ფული „იქაჩება. ბიზნესი უნდა დარჩეს თავის სფეროში, ხოლო პოლიტიკას პოლიტიკოსებმა უნდა მიხედონ. ისე, რომ მილიონერი იჯდეს პარლამენტში და ადგინოს საკუთარი გადასახადები ხალხის ხარჯზე, ასე ქვეყანა ვერ განვითარდება, – აღნიშნა ნათელაშვილმა.

მან გუშინ ნეპოტიზმზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ნეპოტიზმის პირობებში ქვეყანას განვითარების პერსპექტივა არ აქვს.

– თუ არ აღმოიფხვრა ნეპოტიზმი პოლიტიკაში, ბიზნესში, დამერწმუნეთ, არც თქვენ, არც ჩვენს შვილებსა და შთამომავლობას ამ ქვეყანაში არანაირი პერსპექტივა არ ექნება და ეს ქვეყანა იქნება მათთვის არა სამშობლო, არამედ დედინაცვალი. არ შეიძლება, ეს ქვეყანა სამართავად გადავცეთ კორუმპირებულ კლანებს, რომლებიც სამშობლოს დედინაცვლად გვიქცევენ, – განაცხადა ნათელაშვილმა.

შალვა ნათელაშვილი ბაჩო ახალაიას მიმართ გამოტანილ განაჩენსაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ეს განაჩენი ივანიშვილის პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აფასებს.

– ახალაიას საქმეში არაფერ შუაშია პროკურატურა და სასამართლო, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია პრემიერ ივანიშვილის მიერ, რომელსაც არ აღმოაჩნდა უნარი დაეშალა დანაშაულებრივი სისტემა, დაესაჯა მისი ლიდერები. მან უარი თქვა პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურაზე და ეს დამნაშავე პოლიტიკური ძალა ოპოზიციად გამოაცხადა. ამის შემდეგ ყველანაირი განაჩენი, იქნება რეაბილიტაცია თუ შეწყალება, აბსოლუტურად ლოგიკურია. ასე რომ, ნურავის ნურაფერს დააბრალებენ, არაფერ შუაში არ არის პროკურატურის სუსტი მუშაობა და სასამართლოს მიკერძოებულობა, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილების განივთება სასამართლო დოკუმენტში. – აცხადებს პირველი ქართველი ლეიბორისტი.

„გივი თარგამაძე რუსებს გორის დაბომბვის სანაცვლოდ ათობით ათას დოლარს სთავაზობდა“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ მრავლისგამგონე საქართველოს ყურადღება გივი თარგამაძისკენ იყო მიპყრობილი. დეპუტატის განცხადებებმა ერს შორენა ბეგაშვილისა და თიკო სადუნიშვილის დაპირისპირებაც კი დაავიწყა. „კვირის პალიტრისათვის“ მიცემულ ინტერვიუში დეპუტატმა ბევრ რამეზე ისაუბრა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თარგამაძეს ასეთი მკვეთრი განცხადებები აღარ გაუკეთებია. ახლა, როგორც დემოკრატიული მოძრაობა ამბობს, კოჰაბიტაციით თავი დაიარხეინა და ძველებური განცხადებების გაკეთება დაიწყო.

დეპუტატ გივი თარგამაძის შეფასებით, ციხის სკანდალური ვიდეოფირი დადგმული იყო და ყველაფერი მეგის ქარდავამ და მისმა ჯგუფმა გააკეთეს.

– ეს იყო ერთი ჯგუფის ავადმყოფ თავში დაბადებული სისასტიკე და არა სისტემური პრობლემა. ბოლო ორი ჩანაწერი და ციხის ვიდეოფირი განსხვავდება. ციხის ვიდეოფირი არადამაჯერებელი, დადგმული იყო. ყველაფერი მეგის ქარდავამ და მისმა ჯგუფმა გააკეთეს. როცა ქარდავა ციხეში მუშაობდა, ბაჩო ახალაიამ სისასტიკის გამო გაათავისუფლა. ჩვენი დანაშაულია, რომ ისევ სისტემაში დავაბრუნეთ, – აცხადებს გივი თარგამაძე გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში.

ეტყობა ნაციონალებმა გადაწყვიტეს, ყველაფერი მეგის ქარდავას დააბრალონ. თარგამაძემდე სხვა ნაციონალებმაც დაგმეს ქარდავა. არადა, ნამდვილად იჩქარეს. როგორც ამბობენ, მეგისს მათზეც ბევრი ვიდეომასალა აქვს და შესაძლოა ნებისმიერ მომენტში ატვირთოს ინტერნეტში.

გივი თარგამაძეს ძალიან არ მოსწონს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები რომ კეთდებოდა. ამასთან, დეპუტატს უხაროდა, რომ უღებდნენ და უსმენდნენ ქვეყნის ისეთ მტრებს, როგორიც ნინო ბურჯანაძეა.

– რომ მცოდნოდა, ვინმე მიღებდა, ხომ მოვკლავდი, მაგრამ ნინო ბურჯანაძეს რომ უღებდნენ, უსმენდნენ და ყველაფერს რომ შვრებოდნენ, მიხაროდა. ეს ხალხი ქვეყნის მტერია, ბურჯანაძის რეიტინგით ბორისოვიც კი დაინტერესდა გორში ყოფნისას. როცა ამდენი მოღალატე გყავს ქვეყანაში, მთავრობაშიც და სამღვდელოებაშიც, ეს საფრთხე არ არის? – აღნიშნავს თარგამაძე.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, „სამღვდელოებაში“ ის პატრიარქსაც გულისხმობს თუ არა, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი განმარტავს, რომ არ მოსწონს პატრიარქის რუსეთში ვიზიტი.

– ვაცხადებ, არ მომწონს პატრიარქის ვიზიტი რუსეთში. ეს მძიმე საყურებელია. ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტერთან დიალოგის დაწყებას რომ ცდილობენ, ეს მაშინებს, – აცხადებს გივი თარგამაძე.

პატრიარქის მოსკოვში ჩასვლა თარგამაძის მსგავსად არც სხვა ნაციონალებს არ მოსწონს. მათ ისიც აღიზიანებს, რომ უწმინდესი პუტინს შევდა. არადა, ნაციონალებს ხმა არ ამოუღიათ პრეზიდენტად არჩეული სააკაშვილი პირველი ოფიციალური ვიზიტით პუტინს რომ ეახლა მოსკოვში. არც ის გაუპროტესტებიათ, სააკაშვილმა ტარტარს პუტინზე რომ თქვა, პატიოსანი კაცის თვალები აქვსო.

ამ ინტერვიუში გივი თარგამაძეს ერთ ცნობილ ფრაზაზეც მოუწია განმარტებების გაკეთება. მისი ფრაზა „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო“, ალბათ, ყველას გახსოვთ. დეპუტატი გვიმტკიცებს, რომ მისი ფრაზა კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი.

– ეს ფრაზა კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი. მე ვთქვი, არ დავუშვებთ რევანშს, საქართველოში რუსული დროშების ფრიალს, დავიცავთ თბილისსა და საქართველოს. ბოლოს მოვაყოლე, სულს ამოგხდით ყველას-მეთქი. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ ამ ხალხს ბოლომდე ვერ ამოვხადეთ სული... სულის ამოხდაში ფიზიკურად განადგურებას არ ვგულისხმობდი, – აღნიშნა თარგამაძემ.

დეპუტატის ინტერვიუმ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პოლიტიკურმა ოპონენტებმა მას წარსული გაუხსენეს. თარგამაძისთვის მართლაც ბევრი რამის გახსენება შეიძლება.

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გივი თარგამაძის განცხადებას ეხმიანება.

მათი თქმით, გივი თარგამაძე და მისი თანაგუნდელები 1 ოქტომბრის შემდეგ ვირთხებივით სოროებში იყვნენ შემძვრალი და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, სანამ ფიქრობდნენ, რომ პასუხს აგებდნენ, თუმცა ამ გაურკვეველი კოჰაბიტაციის შედეგად გარეცხილ-გათეთრებული და როგორც სააკაშვილმა განაცხადა ფენიქსივით აღსადგომად გამზადებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ახლა ბედავენ და უკვე ჭკუასაც გვარიგებენ.

– სამარცხვინო და სასაცილოა გივი თარგამაძის მხრიდან ნინო ბურჯანაძის მოღალატეობაზე საუბარი, როდესაც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე პირდაპირ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთ- საქართველოს ომის დროს რუს მფრინავებთან და ათობით ათას დოლარს სთავაზობდა გორის დაბომბვის სანაცვლოდ. გივი თარგამაძემ და მისმა კრიმინალმა თანაგუნდელებმა, ზუსტად იციან, რომ დიდი ალბათობით, 27 ოქტომბერს ნინო ბურჯანაძე საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერას მოიპოვებს და მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ისინი აღმოჩნდებიან იქ, სადაც საკუთარი ჩადენილი დანაშაულობებისათვის და პირველ რიგში ქვეყნის ტერიტორიების 20% დაკარგვისათვის, მიუჩენს ადგილს არა კუბლაშვილი, არამედ თავისუფალი და სამართლიანი სასამართლო. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ გივი თარგამაძეს და არა მხოლოდ მას, გისოსებს მიღმა მრავალი წლის გატარება მოუწევთ. მათ ეს კარგად იციან. რაც შეეხება გენერალი ბორისოვის მიერ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ვითომ რეიტინგით დაინტერესებას, ეს გივი თარგამაძე გოროზია და ძმანნი მისნი იყვნენ, აგვისტოს ომის დროს მძღოლებად რომ ემსახურებოდნენ რუს გენერლებს და რესტორნებში სუფრებს უშლიდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარისკაცები თბილისის მერის გიგი უგულავას მიერ გაცემული ბრძანებებით ფრონტის წინა ხაზზე იხოცებოდნენ, ნინო ბურჯანაძე კი ამ დროს საკუთარი სახლიდან მოლაპარაკებებს აწარმოებდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომ ქართულ მხარეს ჩვენი დაღუპული ბიჭების მიტოვებული ცხედრების გამოტანის საშუალება მაინც მისცემოდა, – განაცხადა „ნიუსპრესთან“ საუბარში „დემოკრატიული მოძრაობის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ბაკურ ბაკურაძემ.

რუსი გენერლებისთვის სუფრების გაშლა მართლაც ცნობილი და სამარცხვინო ფაქტია. თუმცა ნაციონალებს ამაზეც აქვთ გამართლება. ამბობენ, რომ ამ სუფრების წყალობით საქართველო აოხრებას გადაარჩინეს.

სერტიფიცირება პედაგოგთა სადამსჯელო ღონისძიებად იქცა?

მერი ნამორაძე

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაციით, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. იმ საგნებში, რომლებშიც გამოცდის პირველადი შედეგები უკვე ცნობილია, მასწავლებლების დიდმა უმრავლესობამ ზღვარი ვერ გადალახა. ფიზიკაში მინიმალური ზღვარი ვარ გადალახა მასწავლებლების 96 %-მა, ქიმიაში – 91 %-მა, ბიოლოგიაში – 77 %-მა, მათემატიკაში – 86 %-მა, ისტორიაში – 57 %-მა, გეოგრაფიაში – 49 %-მა და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, ამგვარი შედეგები მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის, ასევე პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისათვის. ამ უკანასკნელმა გამოცდების ეროვნული ცენტრი კიდეც გააკრიტიკა „მშრალი ციფრებით მანიპულირების“ გამო და მოითხოვა ზუსტად განეცხადებინათ, ჩაჭრილი პედაგოგებიდან რამდენი იყო მოქმედი მასწავლებელი და რამდენი მასწავლებლობის მაძიებელი (საგნების მიხედვით). ასევე, თითოეული საგნის მიხედვით, ჩაჭრილი პედაგოგებიდან რამდენი იყო ამ საგნის საუნივერსიტეტო განათლების მქონე მოქმედი მასწავლებელი და რამდენი სხვა საგნის მოქმედი პედაგოგი თუ მაძიებელი.

შელახავს თუ არა პედაგოგთა ავტორიტეტს ინფორმაცია, რომ მათმა უმრავლესობამ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი? რა თქმა უნდა, მოსწავლეთა თუ მშობელთა მხრიდან კიდევ უფრო ადვილი გასაკრიტიკებელი გახდება პედაგოგი. ბოლო წლების განმავლობაში მცდელობა – ამაღლებულიყო მასწავლებელთა პროფესიონალიზმი თუ ავტორიტეტი, ვერ იქნა მიღწეული. როგორც ჩანს, მცდელობა არ იყო ერთობ მიზანდასახული, თორემ წინა წლების გამოცდებზე ერთობ არასახარბიელო შედეგი არ დაფიქსირებულა.

როგორც პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში ამბობენ, სერტიფიცირება მასწავლებლის პროფესიის რეგულირებას, მისი პროფესიონალიზმისა და ავტორიტეტის ამაღლებას გულისხმობს. წლების განმავლობაში სერტიფიცირება პედაგოგთა სადამსჯელო ღონისძიებად გადაიქცა და ნაცვლად ავტორიტეტის ამაღლებისა, მასწავლებელთა დისკრედიტაციას ემსახურება. „თუ გვყავს არაპროფესიონალი პედაგოგები, მაშინ ისმის კითხვა, როგორ ვაღწევთ წარმატებებს ეროვნულ გამოცდებზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეპეტიტორთა აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო სკოლების მოქმედი მასწავლებლები არიან? სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებმა კიდევ ერთხელ მიგვანიშნა იმ ღრმა კრიზისზე, რაც პედაგოგების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებულ სისტემაში არსებობს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ის, რომ მასწავლებლებს სისტემატური კვალიფიკაციის ამაღლების კურსები არ გაუვლიათ და ბოლო ათი წლის განმავლობაში პედაგოგები საგნობრივი, პროფესიული და საგამოცდო გადამზადების გარეშე არიან დარჩენილნი. „მასწავლებელთა სახლის“ მიერ ჩატარებული ერთჯერადი უორქშოფები, ეპიზოდური და ფრაგმენტული ტრენინგები, რომელიც გამოცდების წინა პერიოდში მიმდინარეობს, არ აღმოჩნდა საკმარისი, – ამბობენ მასწავლებელთა თავისუფალ პროფკავშირში.

პროფკავშირი ირწმუნება, რომ სასერტიფიკაციო გადამზადების დაბალი ხარისხის და არაეფექტურობის გარდა, პედაგოგებს თვითმომზადების შესაძლებლობაც შეზღუდული აქვთ. შექმნილია ხარისხიანი, მაგრამ ძალიან მცირე პაკეტი, ხოლო სასერტიფიკაციო გამოცდების პროგრამა იმდენად დიდი მოცულობისაა, რომ მისი დაბეჭდვის შემთხვევაში ტომეულები შეიქმნება. შესაბამისად, არც ტრენერების მუშაობა არის სრულყოფილი დიდი მოცულობის მასალის მცირე დროში სწავლების აუცილებლობის გამო. პრობლემებია მასწავლებელთა სახლის მიერ განხორციელებული ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისითაც. საქართველოს მაღალმთიან რაიონებში პედაგოგებს ტრენინგები არ გაუვლიათ. შეუსაბამობაშია ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები, სასერტიფიკაციო საგამოცდო პროგრამები, გამოცდების ფორმატი, ქულებისა თუ კრედიტების მინიჭების სისტემა და წახალისების ნორმები. საგამოცდო ტესტებში იმდენია საფიქრალი და ამოსახსნელი, რომ მართლაც მომზადებულ მასწავლებელს, გამოცდაზე ხუთსაათიანი თავაუღებელი მუშაობა უწევს, ყოველგვარი გადათეთრების შანსის გარეშე.

როგორც პედაგოგთა თავისუფალ პროფკავშირში ამბობენ, წლების განმავლობაში მიმდინარეობს რეფორმა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური კუთხით დანახული, წარმართული და შეფასებული, საზოგადოების რეალურად ჩართვის გარეშე. არ არის შესწავლილი მასწავლებლის აზრი არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და მათი გვერდის ავლით იგეგმება ყველაფერი.

პროფკავშირში მიიჩნევენ, რომ შესაცვლელია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სასერტიფიკაციო დებულების ის ნორმა, რომლის თანახმადაც გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი სტაჟი, თუნდაც არ იყოს მოქმედი მასწავლებელი და იძლევა საშუალებას, რომ პედაგოგმა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა მისთვის სასურველ საგანში და არა იმ საგანში, რომელშიც მიღებული აქვს საუნივერსიტეტო განათლება.

როგორც ამბობენ, სისტემა დაუხვეწავია და ნაკლოვანი. ამიტომ განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გააანალიზოს პრობლემები და შექმნას სრულყოფილი პედაგოგთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოდელი.

ბანკები და მოსახლეობა ერთმანეთს სააკაშვილმა დააპირისპირა

რა ბედი ელით 6 თვის შემდეგ მეანაბრეებს

ნათია ხურცილავა

თემურ შაშიაშვილი საბანკო სექტორსა და მეანაბრეთა შორის არსებულ პრობლემაზე საუბრობს. პარტია „თეთრების“ პოზიცია კანონპროექტზე მეანაბრეებთან დაკავშირებით ცნობილია.

პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი პოპულისტურს და უშედეგოს უწოდებს პარლამენტში მეანაბრეებთან დაკავშირებით პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტს. აღნიშნულთან დაკავშირებით თემურ შაშიაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია:

– არ ვიცი, ვისთვისაა მისაღები ის, რაც ამ კანონპროექტში წერია, რაც მეანაბრეების პრობლემას არა თუ წყვეტს, არამედ ამძიმებს, რადგან ექვსი თვის განმავლობაში ამ პრობლემებს 90%-ზე მეტი ვერ მოხსნის და 6 თვის შემდგომ, მათ მიმართ მოქმედება გაცილებით რადიკალური გახდება, – აღნიშნავს შაშიაშვილი.

თემურ შაშიაშვილი კანონპროექტზე, მის პლუსებსა და მინუსებზე საუბრობს.

– ეს კანონპროექტი საზიანოა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ქადაგებს. ეს კანონპროექტი დამანგრეველია საბანკო სისტემისათვის – უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს ბანკებთან დაკავშირებულ ყველა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. პრაქტიკულად მოშლის საბანკო სისტემას, არ გამოვრიცხავ 90-იანი წლების ქაოტური სისტემის შექმნასაც. თუმცა, კარგიც არის, მაგრამ მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების ორი კანდიდატისათვის: „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ კანდიდატებისათვის – მხოლოდ ეს ორი პარტიაა პარლამენტში წარმოდგენილი და არჩევნების წინ ამ კანონის პოპულისტური გამოყენებით შეეცდებიან წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის გულის მოგებას, რაც პრაქტიკულად მოსყიდვის ტოლფასი იქნება, – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

„თეთრების“ პოზიცია ნათელია და იგი ჩამოყალიბებულია „ღირსების ულტიმატუმში“, რომელიც 2009 წლის 23 ნოემბერს წარედგინა მიხეილ სააკაშვილს.

– ჩვენ ვთვლიდით და ვთვლით, რომ უნდა გაანალიზდეს ბანკებსა და მოსახლეობას შორის წარმოქმნილი პრობლემები და მოხდეს მათი დარეგულირება გერმანიის, საფრანგეთის და ევროპის სხვა დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სადაც მთავარი პასუხისმგებლობა სახელმწიფომ აიღო და ამით შეინარჩუნა სტაბილობაც, საბანკო სისტემაც და პრაქტიკულად გადაჭრა მეანაბრეთა პრობლემები, – აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

თემურ შაშიაშვილი საბანკო სექტორსა და მოქალაქეებს შორის შექმნილ მდგომარეობაში მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს.

– ჩვენ სრულ პასუხისმგებლობას ბანკებსა და მოსახლეობას შორის შექმნილ დაძაბულობაზე ვაკისრებთ მიხეილ სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“, რომლებმაც გააგრძელეს „მოქკავშირ“– „აღორძინების“ დამანგრეველი კურსი და შექმნეს ისეთი საბანკო სისტემა, როცა დანგრეული და განადგურებული ეკონომიკის, ჯართად ქცეული სამუშაო ადგილების, სხვა ქვეყნის პროდუქციის ბაზრად ქცეულ, მოტყუებული და დეპრესიაში ჩავარდნილი მეანაბრეების ქვეყანაში გვყავს მილიონერი ბანკირები და ამ უკანასკნელთა მიერ პოლიტიკურად გამაგრებული „ნაციონალური“ პოლიტიკური ძალა და პრეზიდენტი, – აცხადებს შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი გამოსავალს დღევანდელ ხელისუფლებას სთხოვს და მიიჩნევს, რომ მეანაბრეთა პრობლემა ცივილიზებულად უნდა გადაიჭრას.

– ეს მწარე სიმართლეა. გამოსავალი უნდა მოიძებნოს. დღევანდელი ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ ამ პრობლემის ევროპული გამოცდილებით გადაჭრას ყოველგვარი პოპულიზმისა და ნაჯახის პოლიტიკის გარეშე. ჩვენ მოვითხოვთ არა მარტო მეანაბრეების პრობლემის გადაწყვეტას, არამედ, როგორც ეს თავის დროზე მივმართეთ ბატონ სააკაშვილს და დაახლოებით ერთი თვის წინ ახალ მთავრობას, გაანალიზდეს საბანკო სესხების არსებული საკრედიტო განაკვეთები, ზრდის რეალური ფაქტორები და მხოლოდ ასე გადაწყდეს იაფი კრედიტის პრობლემა, – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

შაშიაშვილი აქვე საუბრობს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერზე, სადაც გამარჯვებული ბანკი პენსიონერებზე გაცემულ კრედიტში 40-დან 45 პროცენტს იტოვებს.

– ტრაგედიაა, როცა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ბანკი პენსიონერებზე გაცემულ წლიურ კრედიტში გარანტირებული საპენსიო თანხის პირობებში მიცემულ წლიურ კრედიტის 40-45% იტოვებს, – აღნიშნა შაშიაშვილმა.

„თეთრების“ ლიდერი მზად არის სახელმწიფოს ნებისმიერ რგოლთან თუ არასამთავრობო სექტორთან ითანამშრომლოს, რომ მაქსიმალურად ცივილიზებულად გადაწყდეს აღნიშნული პრობლემა.

– ჩვენ მზად ვართ, კონსულტაციებისათვის ყველა დაინტერესებულ სახელისუფლებო რგოლთან, პარტიასთან, არასამთავრობო სექტორთან, მეანაბრეთა კომიტეტებთან თუ უშუალოდ მეანაბრეებთან. დაზარალებულებმა გვინდა იცოდნენ, რომ ჩვენს პარტიაში, პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, მრავლად არიან მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანები, პირადად მეც მათ რიცხვში ვარ (საქართველოს ბანკისგან). ამდენად ჩვენთვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს სახელმწიფოებრივად და არა პოპულისტურად და ნაჯახის პოლიტიკით, – განაცხადა შაშიაშვილმა.

გამგეობის შენობიდან მძარცველებმა კომპიუტერი და ფოტოაპარატი წაიღეს

ვაკის რაიონის გამგეობიდან მძარცველებმა კომპიუტერი და ფოტოაპარატი წაიღეს. როდის და როგორ მოახერხეს მძარცველებმა გამგეობის შენობაში შესვლა, ამ დრომდე უცნობია. შემტვრეულია გამგებლის მოადგილის რამაზ ლომინაძის სამუშაო ოთახის კარი. დამლაგებლებს ასევე ღია დახვდათ გამგეობის რამდენიმე თანამშრომლის ოთახი. ცნობილია, რომ მძარცველებმა შენობიდან წაიღეს კომპიუტერი და ფოტოაპარატი.

გამგეობის თანამშრომლების განცხადებით, შემთხვევის დროს შენობაში ელექტროენერგია გამორთული იყო, რამაც მძარცველებს საქმე გაუადვილა.

,,წაღებულია ტექნიკა, ჯერჯეობით რაოდენობა არ ვიცით. საუბარია კომპიუტერზე და ფოტოაპარატზე. სამართალდამცავები სულ მალე დადებენ დასკვნას და შემდგომში უფრო დაწვრილებით გვეცოდინება. კამერებზე რაც არის აღბეჭდილი, ამოიღებენ და შემდეგ გვეცოდინება უფრო ნათლად, რასთან გვაქვს საქმე“, – განაცხადა ვაკის რაიონის გამგებელმა ბაჩო დოლიძემ.

მედიანიუსი

ნინო ბურჯანაძე: „ადამიანები ადეკვატურად ხედავენ, თუ ვის შეუძლია უმთავრესი პრობლემის მოგვარება“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გარდაბანში საარჩევნო შტაბის გახსნის შემდეგ, სოფელ ქესალოს მოსახლეობას შეხვდა.

ნინო ბურჯანაძემ, ქესალოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას რამაზანი მიულოცა და იმ პრობლემებზე ესაუბრა, რომლებიც ადგილობრივებს ყველაზე მეტად აწუხებთ.

„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოში მცხოვრებ ყველა აზერბაიჯანელს მივულოცო რამაზანის დღესასწაული. მალე ბაირამის დღესასწაული მოდის და მინდა მათ ოჯახებს და ადამიანებს ბედნიერება და ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის შეხვედრები, იმიტომ რომ ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ გითხრან, რა პრობლემები აწუხებთ და ჩემგანაც მოისმინონ, ის რაც ძალიან მნიშვნელოვანია. აქ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, მიწის პრობლემაა. ასევე ძალიან სერიოზული პრობლემაა ამ ადამიანებისთვის ის, რომ რუსეთთან ურთიერთობები შეზღუდულია. მათ არ აქვთ თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა. არ არის ბაზარი, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას, რომ თავიანთი მოყვანილი მოსავალი გაიტანონ და ზოგადად, ბუნებრივია ყველა სხვა პრობლემა, მათ შორის უმუშევრობა, რომელიც მთლიანად საქართველოსათვის პრობლემაა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანები ადექვატურად ხედავენ თუ ვის შეუძლია უმთავრესი პრობლემის მოგვარება და ქვეყნის სწორ გზაზე დაყენება. მიხარია, რომ მათგან მივიღე მხარდაჭერის შეპირება. ამავდროულად ხაზი მინდა გავუსვა, რომ აქ იყვნენ ახალგაზრდებიც და ასევე ძალიან სასიხარულოა, რომ ახალგაზრდებმა საგანგებოდ ქართულ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. მათ უნდათ, რომ ქართული ენა იცოდნენ და მიიღონ სრული მონაწილეობა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის და განვითარების პროცესში. რა თქმა უნდა, მათ ხელი მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

სალომე ზურაბიშვილი: „დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა წინაპირობებით არ იწყება“

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გამოეხმაურა რუსეთის პრემიერ-მინისტრის, დიმიტრი მედვედევის განცხადებას, რომლის თანახმად, რუსეთი მზად არის საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს იმ პირობით, თუ საქართველო 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ფაქტს აღიარებს.

სალომე ზურაბიშვილი თქმით, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა წინაპირობებით არ იწყება, მეტადრე წინაპირობების დასმით იმ მხარისგან, რომელიც საქართველოს ევლინება, როგორც მისი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის შემლახველი და ოკუპანტი.

,,ასე თუ მივყვებით, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ არსებობს საკითხები, რომლის აღიარებაც და რომელზეც ბოდიშის მოხდა რუსეთს მოუწევს: უსაფუძვლოდ შემოჭრა კოდორის ხეობაში, არაფერი რომ არ ვთქვათ, 90-იანი წლების აფხაზეთში გაჩაღებულ გამოუცხადებელ ომისა და 9 აპრილზე და იმ საბჭოთა მემკვიდრეობაზე, რომელიც რუსეთის პასუხისმგებლობაზეა... ხომ ნათელია, რომ ეს შორს წაგვიყვანს და რომ დიპლომატიური ურთიერთობა ვერ აღდგება „ანგარიშსწორებით“?!“, – აცხადებს ზურაბიშვილი და მიიჩნევს, რომ ეს უნდა მოხდეს პრაგმატიულ საწყისებზე და ურთთიერთინტერესების საფუძველზე. ასეთი მოთხოვნები პირიქით, ამძიმებს ფონს–წარსულს აყენებს წინა პლანზე და ხელს უშლის დღევანდელ პრობლებზე საღ მჯელობას.

მისივე თქმით, მედვედევის განცხადება, როცა საქართველოში დაწყებულია საარჩევნო კამპანია, აღიქმება ამ კამპანიაში პირდაპირ ჩარევად, ამ ყველაზე მტკივნეული საკითხის დასმით. ეს ხელს შეუწყობს ზოგიერთ ძალას, დაიწყოს რუსული თემებით მანიპულირება.

,,თუ კონსტრუქციული მიდგომის სურვილი მართლაც არსებობს, აჯობებდა, რომ ასეთი განცხადებები გაკეთებული ყოფილიყო არჩევნების შემდეგ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი, ვიდრე არჩევნებამდე“, – აღნიშნავს ზურაბიშვილი.

როგორც დიმიტრი მედვედევმა ღუსსია თოდაყ-სთან ინტერვიუში განაცხადა, რუსეთის ფედერაციას არ გაუწყვეტია საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები. რუსეთი მზად არის მის აღსადგენად, ოღონ გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

მედიანიუსი

ჭიათურა ქალაქია და არა ბოსელი!

როლანდ ხოჯანაშვილი

2 აგვისტოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხიგით მე-13 სხდომა ჩატარდა. სხდომაზე გამოტანილი იყო 6 საკითხი, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მანგანუმისა და სხვა ნიადაგისეული გადამზიდავი მძიმეწონიანი სატვირთო მანქანების მოძრაობის წესის დამტკიცებისა და მუნიციპალიტეტის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ.

მართალი გითხრათ, ჭიათურის საკრებულოს სხდომაზე პირველად ვიყავი და ძალიან მაინტერესებდა, რას აკეთებდა ის საკრებულო, რომლის არჩევაში სამი წლის წინ მივიღე მონაწილეობა. თითქმის იგივე შემადგენლობა (26 დეპუტატი) დამხვდა, რაც 8 წლის წინ გახლდათ ამ მინიპარლამენტში. მრავალი გადაწყვეტილება იყო დასაწუნარი, რომლებიც გამოუტანიათ ხალხის რჩეულ დეპუტატებს: ბიბლიოთეკების დახურვიდან დაწყებული ქალაქზე ნაკლები ზრუნვით დასრულებული. საერთოდ, თვალში უფრო მეტად ნეგატიური გვხვდება და, აბა, რატომ გავიხსენებთ დადებით გადაწყვეტილებს (თუკი არსებობს!). ორი ტელევიზია, რომლებსაც შეჩვეულია საკრებულო, მთელი სხდომის განმავლობაში იღებდა მასალას. რამდენიმე დეპუტატმა კითხვის გამომხატველი სახით გადმომხედა უცნობს, მაგრამ არაფერი უკითხავთ. ზოგმა მიცნო კიდეც, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მთავარი წინ იყო: ხმაური და მძვინვარება. არცერთ საკრებულოს აღარ უკვირს დარეფრეშება, გამონაკლისი რატომ უნდა იყოს ჭიათურის?! ამ ბოლო დროს იმერეთში ყველაზე რეზონანსული საჩხერის საკრებულოს დიდი ფერისცვალება იყო–ერთად 12 ნაციონალი ,,გაოცნებდა". ჭიათურაში პოლიტიკური ტრანსფორმაცია შედარებით ჩუმად მოხდა, თუმცა ფარული დაძაბულობა მაინც ჩანდა. სხდომის პირველი ნახევარი მდორედ და უსიცოცხლოდ ჩამთავრდა, უკვე სხდომის დატოვებასაც ვაპირებდი, რადგან რამდენიმე ოფიციალური ციფრი ჩაწერილი მქონდა და საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი.

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ რამდენიმე საკითხი უხმაუროდ განიხილეს. შემდეგ ასოციაცია ,,ჭიათურელთა კავშირის" მიერ ინიცირებული სატვირთო მანქანების მოძრაობის წესების შესახებ მოხსენება გააკეთა შოთა გაფრინდაშვილმა, რომელიც ადრე (გამსახურდიას დროს) პარლამენტარი იყო. საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად მაინც მოხდა შეჯერება და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დადგინდა, რომ ღამის 12 საათიდან დილის 9 საათამდე ქალაქში მძიმეწონიანი მანქანების გადაადგილება აიკრძალა, ასევე აკრძალვა შეეხო 13 საათიდან 17 საათამდე მოძრაობასაც, რადგან ღამის საათებში ხმაური აწუხებს ქალაქის მკვიდრებს და დღის საათების აღნიშნულ მონაკვეთში კი მანგანუმის მტვრის გაბნევა ინტენსიურად ხდება გარემოში. თურმე 2005 წელსაც დაახლოებით ამდაგვარი საკითხი დაყენებულა საკრებულოს სხდომაზე და მიუღიათ კიდეც, თუმცა რამდენად განხორციელდა აკრძალვები, ამაზე ნებისმიერი ჭიათურელი გეტყვით, რომ მანგანუმის წარმოების დროს არანაირი აკრძალვები არ ზღუდავდა მეტალის გადაზიდვას. იყო მსუბუქი კენჭების გადმოსროლა ,,რესპუბლიკელების" მისამართით (მოგეხსენებათ, ,,რესპუბლიკელებს" ეს ,,ბოროტი" ,,ნაციონალ-ბანდიტები" ,,ბოროტ" ,,ბანდიტებად" ,,ბოროტ" ,,ბანდიტებად" ,,ბოროტ" ,,ბანდიტებად

რეზო თაბუკაშვილს 86 წელი შეუსრულდებოდა

ეკა ირემაშვილი

ცნობილ ქართველ მწერალ, მთარგმნელსა და ჰეგისოხს რეზო თაბუკაშვილს 86 წელი შეუსრულდებოდა. ეს თარიღი მისმა ოჯახის წევრებმა, ოლეგებმა, მეგობრებმა და ახლობლებმა მის საფლავზე გასვლით აღნიშნეს.

რეზო თაბუკაშვილს ქართული კულტურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. სხვადასხვა ნოველისა ფილმის ავტორი ეროვნული საგანძურის შენარჩუნებაშიც ფასდაუდებელია. კერძოდ, ცნობილია, რომ მისი ინიციატივითა და მონაწილეობით დაუბრუნდა საქართველოს უცხოეთში გაბნეული ხელნაწერები, მნიშვნელოვანი დოკუმენტები თუ ფოტოები. მათ შორისაა თურქულ ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების ვ. ქიქოძის მიერ გადაღებული ფოტომასალა 700 სლაიდი, ვ. ღამბაშიძის მიერ გადაღებული აკაკი წერეთლის დაკრძალვის პროცესიის ფოტოების ნეგატივები. რეზო თაბუკაშვილის უშუალო აქტიურობის შედეგად გადმოასვენეს საქართველოში მიხეილ თამარაშვილი. ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია მისი არა ერთი საინტერესო დოკუმენტური ფილმი. მათ შორის „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას ეძღვნება.

რეზო თაბუკაშვილის ლექსები და თარგმანები იბეჭდებოდა გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა თბილისის თეატრების სცენებზე, მათ შორის მარჯანიშვილის თეატრში „რაიკომის მდივანი“, „რას იტყვის ხალხი“, რუსთაველის თეატრში „რაიკომის მდივანი“ და „დენბურგის ზარი“. მან დაწერა კინოსცენარები ფილმებისათვის „წარსული ზაფხული“, „კარდაკარ“, „ქორბუდა“, „ჯვარცმული კუნძული“, „მზე შემოდგომისა“, „სადა ხარ ჩემო სავანე“, „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან“, „რაც დავიწყებით არ იბინდება“, „ფაცურა“, „ქართველები ნიდერლანდებში“, „ორაგულის ბედი“, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“, „ზღვის მაშვრალნი“. არის ავტორი ლიბრეტოების ოპერებისათვის „მინდია“, „ქაჯანა“. რეზო თაბუკაშვილმა თარგმნა უილიამ შექსპირის სონეტები და გადაიღო დოკუმენტური ფილმები. მისი მეუღლე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მედეა ჯაფარიძე იყო, მისი ვაჟი ლაშა თაბუკაშვილი კი ასევე მწერალია და არაერთი გახმაურებული პიესის ავტორია.

რეზო თაბუკაშვილი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. 19 წლის წინ ხარაგაულში რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი დაარსდა, რომლის ხელმძღვანელია იზა ვეფხვაძე. თეატრი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „მთების ძახილი“. იგი მიზნად ისახავს ქართველ მამული შვილთა საღამოების გამართვას საქართველოს მთიან რეგიონებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, თეატრმა დუშეთსა და ფასანაურში გამართა გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი წარმოდგენა „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია...“ საღამოს შემდეგ ფასანაურის სკოლის დირექტორმა, პედაგოგიური კოლექტივის სახელით და ადგილობრივმა მოსახლეობამ წერილი მისწერეს კულტურის მინისტრს, სადაც მათ მოითხოვეს რეგიონის მაყურებელს ლიტერატურული თეატრის მომავალი სპექტაკლებიც უჩვენონ. ამავე პროექტის ფარგლებში თეატრი სვანეთშიც ავიდა. მესტიაში წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი იზა ვეფხვაძის საავტორო სპექტაკლი „საქართველოს შიშველი სატევარი“, სოფელ უშგულში კი ოტია იოსელიანისადმი მიძღვნილი სპექტაკლი „ჩვენი ოტია“. პროექტით გათვალისწინებულია და რეგიონებში სპექტაკლებში მონაწილეობენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლებიც.

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი უკვე 19 წლისაა. რეპერტუარში აქვს 45 ლიტერატურული სპექტაკლი და 300-ზე მეტჯერ აქვს ნაჩვენები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. თეატრის დამაარსებელი, რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობია კულტურის ცნობილი მოღვაწე იზა ვეფხვაძე, თეატრს ჰყავს მუსიკალური გამფორმებელი დალი მერაბიშვილი და ტექნიკური მენეჯერი ივანე ჭიპაშვილი.

„ჩემი ფუნიკულიორი“ დასრულებულია

ეკა ირემაშვილი

პროექტი „ჩემი ფუნიკულიორი“ დასრულებულია. მისი პრეზენტაცია თიბისი გალერეაში გაიმართა, რომელიც თიბისი არტ გალერეის ორგანიზებითა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით განხორციელდა.

როგორც თიბისი არტ გალერეის წარმომადგენელმა ქეთევან მაღალაშვილმა განაცხადა:

– პროექტი წარმოადგენს ასზე მეტი მხატვრის საქართველოში, რომელსაც საფუძველი 2012 წლის ოქტომბერში, მთაწმინდის პარკში ჩაეყარა და რომელიც ერთგვარ სოციალურ პროექტად ჩამოყალიბდა. პროექტის მთავარი იდეა იყო მონმარტრის ერთგვარი პერიფრაზი და თბილისისთვის ახალი არტ-სივრცის შეთავაზება, სადაც ბევრი არტისტი, მოყვარული, სტუდენტი და ბავშვი შეძლებდა ხატვას. პროექტმა წარმატებით იმუშავა 10 თვის განმავლობაში. მასში 120 მხატვარი მონაწილეობდა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 400-მდე უნიკალური ნამუშევარი. სწორედ ეს ნამუშევრები გამოფინა საზოგადოებისთვის თიბისი არტ გალერეაში. აქვე შედგა ალბომის „ჩემი ფუნიკულიორი“ პრეზენტაცია და პროექტის ჩვენება.

პროექტი „ჩემი ფუნიკულიორი“ გასული წლის ოქტომბერში დაიწყო და 10 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის კურატორის ქეთევან კორძახიას თქმით:

– როგორც იცით, ოქტომბრიდან მოყოლებული, „მთაწმინდის პარკში“ მიმდინარეობდა პროექტი „ჩემი ფუნიკულიორი“ – ყოველ კვირა დღეს მხატვართა ჯგუფი ფუნიკულიორზე სახატავად დადიოდა და ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი მხატვრულად ღირებული ნამუშევარიც გაკეთდა. დროთა განმავლობაში პროექტში ჩაერთნენ მოყვარულები, ტყუპები, წითურები, ბავშვები და პარკის შემთხვევითი დამსვენებლებიც. ზამთრის პერიოდში, უამინდობისას სამუშაოდ პარკის ადმინისტრაციამ მხატვრებს თავშესაფარიც გამოუყო, რომელიც თავისთავად გადაიზარდა გალერეა-სტუდიაში. გალერეაში გამოიფინა პროექტის ფარგლებში შექმნილი 300-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. მათი პრეზენტაცია საგანგებოდ გადაღებულ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმთან და პროექტის შესახებ გამოცემულ ალბომთან ერთად აპრილის ბოლოს შედგა „მთაწმინდის პარკში“.

მისივე თქმით, ყოველ კვირა დღეს წარმოდგენილი იყო ახალ-ახალი პროექტი. მთელი დღის განმავლობაში მხატვრები გალერეის ფასადის მოხატვაზეც მუშაობდნენ. მონაწილეები იყვნენ არა მარტო მუდმივი „ფუნიკულიორისტები“, არამედ დასახმარებლად მისული მწერლები, ბავშვები, უცხოელი გულშემატკივრები და „მთაწმინდის პარკის“ მესვეურებიც.

პროექტი ხორციელდებოდა წვიმიან ამინდებშიც, „მთაწმინდის პარკის“ ადმინისტრაციისა და „თიბისი არტ გალერეას“ მონდომებით, „მთაწმინდის პარკის“ მხარდასაჭერად ასზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი შეიქმნა, რომლებიც უშუალოდ პარკის ტერიტორიაზე, პლენერზე მუშაობის შედეგად შეიქმნა, ქართველი მხატვრებისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების მიერ.

„ჩემი ფუნიკულიორის“ აქციებში მონაწილეობდნენ „თითების თეატრი“ სპექტაკლით „ექსტრავაგანსა“ და წეროვანის საჯარო სკოლის ჩასაბერ ინსტრუმენტთა ორკესტრი, რომელიც დაარსდა 2010 წელს, თიბისი ბანკის ინიციატივითა და ხელშეწყობით. ორკესტრი უნიკალურია იმ მხრივ, რომ აერთიანებს გოგონებსა და ვაჟებს, და რაც მთავარია, ორკესტრანტების ასაკი არ სცილდება 18 წელს. მიუხედავად ხანმოკლე ბიოგრაფიისა, ორკესტრი უკვე საკმაოდ წარმატებულია. მონაწილეა რამდენიმე კონცერტის და რეპერტუარში აქვს ქართული მუსიკალური კლასიკა.

– პროექტის „ჩემი ფუნიკულიორი“ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა „მთაწმინდის პარკის“ მხარდაჭერა და პოპულარიზაცია ერთგვარი „მონმარტრის“ დამკვიდრების გზით, მხატვრები არ უშინდებოდნენ უამინდობას, წვიმას, სიცივეს და აქტიურად მუშაობდნენ. ფუნიკულიორი ნისლში და წვიმაშიც საოცრად ლამაზი იყო. ხელოვანები ფუნიკულიორის თემაზე მუშაობდნენ. გადაწყდა, რომ პლენერზე შექმნილი ნამუშევრები გადაეცემოდა „მთაწმინდის პარკს“. ყოველ კვირადღეს დამსვენებლებისთვის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები იმართებოდა, მხატვრები ხატავდნენ, მუსიკა უკრავდა, ბავშვები და უფროსებიც ხალისობდნენ, ეს ყველაფერი „ძველი ფუნიკულიორის“ გასაცოცხლებლად კეთდებოდა. ამ პროექტის ფარგლებში „მთაწმინდის პარკში“ ახალი ატრაქციონი „მოჩვენებათა სახლი“ ამუშავდა, ასევე ამ პროექტის ფარგლებში ჩაითრო ატრაქციონი „ამერიკული მთები“. დაიგეგმა სიახლეც – მხატვრებთან ერთად „მთაწმინდის პარკში“ დამწყებმა და პროფესიონალმა ფოტოგრაფებმა იმუშავეს. პროექტს ახალი მხარდამჭერი „არტ ავენიუ“ დაემატა და სწორედ მის გალერეაში გაიმართა ფოტოსესიის მონაწილეთა შემაჯამებელი გამოფენა. კონკურსში მონაწილეობა შეეძლო ყველა მსურველს, ასაკის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიუხედავად, პროფესიონალთაგან შემდგარმა საბჭომ წლის

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

სლოვენია იგებს, ჩეხებს კაპიტანი დააკლდათ

შეგახსენებთ, რომ ქართველი კალათბურთელები პოდჩეტრტეკში 25 ივლისიდან იმყოფებიან და იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით, პირველ მოსამზადებელ შეკრებას გადიან. საქართველოს ნაკრებმა ცნობილ სპორტულ კომპლექს „ტერმე ოლიმიაში“ პირველ შეკრებას დღეს დაასრულებს, ხოლო ხვალიდან იტალიაში გადაბარგდება და ქალაქ ტრენტოში ოთხთა საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

განრიგის თანახმად, ქართველი კალათბურთელები 7 აგვისტოს თბილისის დროით 22:30 საათზე მასპინძელ იტალიას ეთამაშებიან, 8-ში – 20:00 საათზე პოლონეთს, ხოლო 9-ში, ასევე 20:00 საათზე – ისრაელს. ტრენტოს ტურნირის შემდეგ, ქართველები პოდჩეტრტეკში დაბრუნდებიან და 13 აგვისტომდე მორიგ შეკრებას გამართავენ.

სლოვენიის ნაკრებმა მორიგი საკონტროლო მატჩები გამართა – ამჯერად, საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე, რომელიც იმ დარბაზში გაიმართა, სადაც სლოვენია საქართველოსთან, ხორვატიასთან, ესპანეთთან, პოლონეთთან და ჩეხეთთან ერთად ევროპის ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩებს ჩაატარებს.

ქალაქ ცელიეს არენა „ზლატოგორში“ ჩატარებულ ტურნირში მასპინძლებთან ერთად მონაწილეობა თურქეთმა, სერბეთმა და ლატვიამ მიიღეს. სლოვენიელებმა სამივე მეტოქეს სძლიეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ. რაოდენ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ბოჟიდარ მალკოვიჩის გუნდს ყველაზე მეტად ლატვიასთან გაუჭირდა, რომელსაც ტურნირის სადებიუტო მატჩში 71:67 ძლივს მოუგო.

ლატვიელებმა შემდეგ თურქეთიც დაამარცხეს და საერთოდ, ტურნირზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. რაც შეეხებათ ჩვენთვის საინტერესო სლოვენიელებს, მეორე მატჩში მასპინძლებმა სერბეთი 67:52 დაამარცხეს. ამ მატჩს დაესწრნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელები, რომლებიც მომავალი მეტოქის დასაზვერად ცელიეში პოდჩეტრტეკიდან ჩავიდნენ.

მესამე და გადამწყვეტ მატჩში სლოვენიელებმა თურქეთს საკმაოდ იოლად – 72:53 მოუგეს. პირველი ტაიმის შემდეგ თურქები 33:30 ლიდერობდნენ, თუმცა მეორე ნახევარში მასპინძლებმა სტუმრებს 42:20 სძლიეს და შეხვედრაშიც დიდი სხვაობით იმარჯვეს.

სლოვენიელთა შემადგენლობაში ისევ არ ითამაშა იაკა ლაკოვიჩმა, რომელიც ტრავმირებულია. ტურნირის უძვირფასეს მოთამაშედ სლოვენიელი იურე ბლაჟიჩი დაასახელეს, ხოლო სლავთა ლიდერმა გორან დრაგიჩმა მთლიანობაში დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. თურქებთან მატჩში დრაგიჩი სულაც მოედნიდან გააგდეს. მე-4 წუთზე მას და თურქ დოგუშ ბალბაის კამათი მოუვიდათ და მოედანზე სათადარიგოებიც შეცვივდნენ. საქმე ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა, თუმცა ინციდენტი თავიდან იქნა აცილებული. მსაჯებმა ორივე მოჩხუბარი მოედნიდან გააძევეს.

ტურნირის დასრულების შემდეგ სლოვენიელთა მწვრთნელმა ბოჟიდარ მალკოვიჩმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

ბოჟიდარ მალკოვიჩი:

– ტურნირზე მოპოვებული 3 გამარჯვებით არ უნდა აღვფრთოვანდეთ, რადგან ძალთა ბალანსი არარეალური იყო. თურქეთი და სერბეთი ევროპის ჩემპიონატზე სულ სხვა, გაცილებით ძლიერი გუნდები იქნებიან. ალბათ მხოლოდ ლატვიამ გამოაჩინა თავისი რეალური შესაძლებლობები. მომავალი კვირის ბოლოს ბელგრადში გასამართი ტურნირის შემდეგ უფრო რეალურ სურათს მივიღებთ. ჩვენი მოთამაშეები ეიფორიაში არ უნდა ჩავარდნენ, რომ ყველაფერი კარგადაა. ჯერ მოსამზადებელი ეტაპის ნახევარიც კი არ გაგვივლია და მოსამატებელი კიდევ ბევრი გვაქვს. რაც შეეხება იმ ინციდენტს, რაც თურქეთთან მატჩში მოხდა, ძალიან ვწუხვარ, თუმც მოედანზე ასეთებიც ხდება ხოლმე. ორივე მოთამაშე მალევე დამშვიდდა და სიტუაციაც განიმუხტა.

10-11 აგვისტოს სლოვენია ბელგრადის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას სერბეთის, უკრაინისა და თურქეთის ნაკრებებთან ერთად.

დიდი დანაკლისი აქვს ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ ნაკრებს – ჩეხებს. ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეს კაპიტანი, პეტრ ბენდა გამოაკლდა, რომელსაც ტრავმა აწუხებს და ევროპასკეტის დაწყებამდე მომჯობინებას ვერ ასწრებს. ჩეხეთის ნაკრების შესახებ სტატია გამოქვეყნდა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაველ ბუდინსკიმ შეკრებაზე ყველა სასურველ კალათბურთელს უხმო ახალგაზრდა ვარსკვლავების – იან ვესელის და ტომაშ სატორანსკის და ვეტერანების – ირჟი ველშის და ლუბოშ ბარტონის ჩათვლით. გამოძახებულთა შორის გახლდათ 31 წლის ცენტრი პეტრ ბენდაც (203 სმ.), რომელიც ევრობასკეტზე გუნდის კაპიტანი უნდა ყოფილიყო.

ბენდამ ტრავმა თებერვალში მიიღო, თუმცა, მშობლიურ „ნიმბურკს“ არ უღალატა და ჩეხეთის ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა. მან სეზონი ტკივილებით ჩაამთავრა და იმის შემდეგ თერაპიულ კურსს გადიოდა, თუმცა ამაოდ.

ფიზიოთერაპევტების ზედამხედველობით ბენდამ ჩეხეთის ნაკრებში სამი ინდივიდუალური ვარჯიში ჩაატარა, რის შემდეგაც ეროვნული გუნდის ექიმებმა დაასკვნეს, რომ კაპიტანი დანარჩენ კალათბურთელებთან ერთად სრულად დატვირთვას ვერ მოახერხებს.

ბუდინსკის გადაწყვეტილებით, ბენდა ნაკრების მომავალი შეკრებიდან უკვე განთავისუფლებულია და მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრამდე კაპიტნის გამოჯანმრთელება თითქმის შეუძლებელია, მწვრთნელი მისი შემცვლელის გამოძახებას არ აპირებს.

– ძალიან გულნატკენი ვარ, რომ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ვერ ვახერხებ. ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობა სრულად დატვირთვის საშუალებას არ მაძლევს, რის გამოც გადავწყვიტეთ, ეროვნული გუნდის საზაფხულო შეკრებებს გამოვაკლდე, – აღნიშნა ბენდამ, რომლის მონაგარიც მომავალი ევრობასკეტის შესარჩევ ტურნირში საშუალოდ 12.5 ქულა და 6.5 მოხსნა გახლდათ.

პაველ ბუდინსკი:

– ბენდას გარშემო არსებული სიტუაცია ჩვენთვის ძალიან არაკომფორტული ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში იგი ნაკრების კაპიტანი და ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო, მეორეც, პეტრს ეროვნული გუნდის მიმართ ყოველთვის სამაგალითო დამოკიდებულება ჰქონდა. ამ მომენტისათვის, ბენდა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ნაკრებიდან გავათავისუფლეთ და იმედია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს მალე მოაგვარებს.

ჩეხეთის ნაკრებს პირველი ორკვირიანი შეკრება ჩეხეთის დაბა ტრუტნოვში მიმდინარეობს, რომელიც 5 აგვისტოს დასრულდება, მეორე შეკრება კი 7-12 აგვისტოს დეჩინში გახლავთ დაგეგმილი. ბუდინსკის ნაკრები ევრობასკეტამდე 7 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობა 2013 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის:

მცველები: ტომაშ სატორანსკი (კახასოლი, ესპანეთი, სიმაღლე 200 სმ.), ირჟი ველში (ნიმბურკი, 201), მიხალ ჩარნეცკი (პარდუბიცე, 184), იაკუბ კუდლაჩეკი (კანტუ, იტალია, 193);

ფორვარდები: ვოიტეხ ჰრუბანი (ნიმბურკი, 202), პაველ პუმპრლა (ობრადოირო, ესპანეთი, 200), დავიდ ჟელინეკი (კახალაბორალი, ესპანეთი, 196), ლუბოშ ბარტონი (ბრაუნშვაიგი, გერმანია, 202), იან ვესელი (ვაშინგტონ უიზარდსი, ნბა, 211);

ცენტრები: ონდრეი ბალვინი (კახასოლი, ესპანეთი, 216), პაველ ჰოუშკა (ნიმბურკი, 203), იაკუბ ჰოუშკა (დეჩინი, 206), კამილ სვრდლიკი (პროსტეიოვი, 206).

სათადარიგო მოთამაშეები: იარომირ ბოჰაჩიკი (პროსტეიოვი), ადამ ჩიჟი (ოსტრავა), მარტინ გნიადეკი (ოსტრავა), ტომაშ ჰამპლი (ანდორა, ესპანეთი), ონდრეი კოჰოუტი (პროსტეიოვი), პაველ სლეჟაკი (პროსტეიოვი), ტომაშ პომიკალეკი (ნიმბურკი), ონდრეი სტაროსტა (ნავარა, ესპანეთი), ლუბოშ სტრია (დეჩინი), იაკუბ შირინა (ოპავა).

ჩეხები 7 აგვისტოს იკრიბებიან და ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე 7 საკონტროლო მატჩი აქვთ დაგეგმილი.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ბელგიის ტურნირი მეორე ადგილით დაასრულა

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა საკონტროლო მატჩები დაასრულა. გია კაზანჯიანის გუნდმა მიმდინარე მოსამზადებელი პერიოდის რიგით მე-9 მატჩში პორტუგალია დაძაბულ ბრძოლაში – 78:75 დაამარცხა და ბელგიის საერთაშორისო ტურნირზე მე-2 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირის პირველ მატჩში ბელგიელებთან 61:68 დამარცხების შემდეგ შვეიცარია 91:62 გაანადგურეს, ხოლო ტურნირის ბოლო შეხვედრაში პორტუგალიას სძლიეს. ბელგიამ სამივე მატჩი მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მესამე ადგილი შვეიცარიას ერგო, რომელმაც პორტუგალიას 64:61 მოუგო.

ლიეჟის ტურნირის ბოლო მატჩში ქართველები გადაღლილები იყვნენ და პორტუგალიასთან თამაში გაუჭირდათ. ბოლო მეოთხედის წინ პირნილელები 56:53 იგებდნენ, თუმცა გადამწყვეტ ეპიზოდში ქართველებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს. ბოლო პერიოდი კაზანჯიანის გუნდმა 25:19 მოიგო და ლიეჟის ტურნირი მასპინძლების ზურგსუკან, საპატიო მე-2 ადგილზე დაასრულა.

გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლევან გოგალაძეს. ქართველთა გამთამაშებელმა ყველა კომპონენტში გამოიჩინა თავი. 24 ქულით იგი მატჩის ბომბარდირი გახდა და გარდა ამისა 5 პასი, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრაც მიითვალა.

ტრადიციულად ორმაგი დუბლით გამოირჩა ვილი ისიანი, რომლის ანგარიშზეც 15 ქულა და 14 მოხსნა იყო. 16 ქულით დაასრულა შეხვედრა დავით ლომიძემ.

საქართველოს ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპის ცხრავე შეხვედრა სტუმრად გამართა და მათგან 6 თავის სასარგებლოდ დაასრულა. ამით ქართველებმა დიდი გამოცდილება მიიღეს კარსმომდგარი ევროპის ჩემპიონატის წინ. პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ ბელგიაში დავუკავშირდით 16-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ გია კაზანჯიანს, რომელმაც განაცხადა:

გია კაზანჯიანი:

– ევროპის ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად მოვემზადეთ. როგორც ამას წინათ აღვნიშნე, ნაკრების წევრებმა გასულ მატჩებში თითქმის ყველაფერი გამოსცადეს. 9 ამხანაგური მატჩი ძალიან სასარგებლო იყო და მჯერა, რომ ეს შედეგს გამოიღებს. ბოლო 6 დღეში 5 მატჩი გავმართეთ და ესეც ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რადგან ევროპის ჩემპიონატზე 5 მატჩი გადამბულად, ყოველ დღე გვაქვს. ბიჭებმა უკვე გამოსცადეს ის გრაფიკი, როგორითაც ევროპის ჩემპიონატზე მოუწევთ თამაში.

საქართველოს ნაკრები თბილისშია და 7-ში, გამთენიისას, ბოსნიის დედაქალაქ სარაევოსკენ აიღებს გეზს, სადაც ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის პირველობა გაიმართება.

ახალგაზრდა ძიუდოისტთა გუნდური პირველი ადგილი

ბერლინმა ძიუდოში ევროპის ახალგაზრდულ თასს უმასპინძლა. ტურნირი 2 დღეს მიმდინარეობდა, რომელმაც ქართველი ძიუდოისტებისთვის წარმატებულად ჩაიარა, რადგან მათ თითქმის ყველა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილი მოიპოვეს. განსაკუთრებით კი ორი წონა უნდა აღინიშნოს – 90 კგ და მძიმე, სადაც ქართული ფინალები გაიმართა. შესაბამისად, ქართველმა ძიუდოისტებმა 2 ოქრო და 2 ვერცხლი მოიპოვეს.

საერთო ჯამში, ახალგაზრდა სპორტსმენებმა 2 ოქრო, 3 ვერცხლი, 5 ბრინჯაო და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს.

ოქროს მედლები მფლობელები გახდნენ ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) და გიორგი ზაქარიაძე (მძიმე), ვერცხლის მედლები მოიპოვეს – უშანგი მარგიანმა (81 კგ), ლაშა ტაველურმა (90კგ) და ლევან მათიაშვილმა (მძიმე), ხოლო ბრინჯაოს მედლები – ლუხუმ ჩხვიმიანმა (60კგ), ლევან გუგავამ (73კგ) გურამ თუშიშვილმა და თორნიკე ოთინაშვილმა (ორივე 100 კგ) და როსტომ ხახალეიშვილმა (მძიმე).

გეტყვით იმასაც, რომ ტრისტან ფეიქრიშვილმა და გელა კელიხაშვილმა (66 კგ), ტრისტან ავალიანმა (73 კგ), თეიმურაზ ხაჩიძემ (81 კგ), გუგა კიბორძალიძემ (მძიმე) მე-5 ადგილი დაიკავეს, ხოლო ფრიდონ გიგანი (73 კგ) და გიორგი სეტიელი კი მე-7 პოზიციაზე გავიდნენ.

დილამ მაისურაძე დაიბრუნა, სიონი აბრამიძით შეივსო

ხუთშაბათს გორის „დილა“ ევროპის ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე განმეორებით მატჩს გამართავს სპლიტის „ჰაიდუკთან“ და მისი წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, შემდეგ ეტაპზე უკვე ნახევარმცველი ირაკლი მაისურაძე დაემატება, რომელიც „დილას“ დაუბრუნდა. მაისურაძე გუნდთან ერთად უკვე ვარჯიშობს.

გიორგი დევდარიანი:

– ამ ეტაპზე ერთადერთი სიახლის არის, რომ გუნდს დაემატა ირაკლი მაისურაძე. ხორვატიიდან დაბრუნების შემდეგ, ჯერ ერთი ვარჯიში ჩავატარეთ, ერთი დღე დავისვენეთ და 6 აგვისტოდან ისევ შევუდგებით წვრთნას. დაგბინავდებით სასტუმრო „ბომონდ გარდენში“, ხოლო წვრთნა საგურამოში გვექნება.

შეხსენებისთვის, დილა-ჰაიდუკის საპასუხო მატჩი „მიხეილ მესხზე“ 8 აგვისტოს, 20:00 საათზე დაიწყება.

ახალი სეზონის დაწყებამდე, საჩხერის „ჩიხურამ“ თავდამსხმელები, დიმიტრი ტატანაშვილი და გიორგი გაბედავა დაიმატა.

განვლილი სეზონი, ტატანაშვილმა რუსთავის „მეტალურგში“ ჩაატარა, ხოლო გიორგი გაბედავამ – „ზუგდიდში“. ორივე გუნდს უკვე შეუერთდა და ივარჯიშეს კიდეც.

შეგახსენებთ, რომ „ჩიხურამ“ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ლუქსემბურგის „ვადუცი“ გამოთიშა, ხოლო მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიის „თუნთან“ ორრაუნდიან ბრძოლაში გამოეთიშა.

ახალი სეზონის დაწყებამდე, თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ მე-7 ამხანაგური თამაში ჩაატარა და მცხეთაში, პირველლიგელ თბილისის „სასკოს“ 2:1 მოუგო. გოლები ჯავაშვილმა და კორიფაძემ გაიტანეს.

საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ ვებგვერდის ცნობით, მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **დაუშვილი, მჭედლიშვილი, ადამაძე, კასრაძე, ჯავაშვილი, წყაროზია, ღიბრაძე, კორიფაძე. ჯანელიძე, სიჭინავა, კუხალეიშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: დავლაშელიძე, სოფრომაძე, ლობჯანიძე, გაგნიძე.

ბოლნისის „სიონმა“ „თამაზ სტეფანიაზე“ ტესტ-მატჩი გამართა სტუსთან და 2:0 იმარჯვა. გოლები სვანიძემ და ლობჯანიძემ გაიტანეს.

საინტერესოა, რომ „სიონში“ ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ – ვალერი აბრამიძე და დავით იმედაშვილი.

გიორგი კიკნაძემ თავისი გუნდი სტუ-სთან ათამაშა: მერლანი, ტვილდიანი, სვანიძე, თოთაძე, ფოფხაძე, გოგობერიშვილი, განუგრავა, პარუნაშვილი, ბიბილეიშვილი, მიკუჩაძე, ობინა.

შეცვლაზე შევიდნენ: ლობჯანიძე, ახალაია, იოსელიანი, ცხადაია, ჩივაძე, აბრამიძე, ქემოკლიძე.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

დერბი-ბლექბერნი 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ბასტია 1:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

კამბური-ბრედა 0:0

ვიტესი-ერაკლესი 3:1

უტრეხტი-იგლზი 1:1

ზვოლე-ფეინოორდი 2:1

საუკეთესო ცხრიალი:

1.გრონინგენი	1	1	0	0	4-1	3
2.აიაქსი	1	1	0	0	3-0	3
3.ჰერენვენი	1	1	0	0	4-2	3
4.ვიტესი	1	1	0	0	3-1	3
5.პსვ	1	1	0	0	3-2	3
6.ზვოლე	1	1	0	0	2-1	3
7.უტრეხტი	1	0	1	0	1-1	1
8.იგლზი	1	0	1	0	1-1	1
9.ტვენტე	1	0	1	0	0-0	1
10.ვალვაიკი	1	0	1	0	0-0	1
11.კამბური	1	0	1	0	0-0	1
12.ბრედა	1	0	1	0	0-0	1
13.დენ ჰააგი	1	0	0	1	2-3	0
14.ფეინოორდი	1	0	0	1	1-2	0
15.ალკმაარი	1	0	0	1	2-4	0
16.ერაკლესი	1	0	0	1	1-3	0
17.ნაიმეგენი	1	0	0	1	1-4	0
18.როდა	1	0	0	1	0-3	0

ხუსეთი. ჩემპიონიგა

ამკარი-კრ.სოვეტოვი 0:0

ყუბანი-სპარტაკი 2:2

საუკეთესო ცხრიალი:

1.სპარტაკი	4	3	1	0	10-4	10
2.როსტოვი	4	3	1	0	8-3	10
3.ცსკა	4	2	2	0	6-4	8
4.ზენიტი	4	2	1	1	6-5	7
5.დინამო	4	2	1	1	6-7	7
6.ყუბანი	4	1	3	0	6-5	6
7.რუბინი	4	1	3	0	3-2	6
8.ამკარი	4	1	2	1	4-3	5
9.ლოკომოტივი	3	1	1	1	5-5	4
10.კრასნოდარი	3	1	1	1	5-5	4
11.ვოლგა	4	1	1	2	6-7	4
12.ურალი	4	1	1	2	5-7	4
13.ანჟი	4	0	2	2	4-6	2
14.კრ.სოვეტოვი	4	0	2	2	3-5	2
15.ტერეკი	4	0	2	2	2-4	2
16.ტომი	4	0	0	4	2-9	0

შოტლანდია. ჩემპიონიგა

ჰიბერნიანი-მოზერველი 0:1

სტ.ჯონსონი-ჰართსი 1:0

საუკეთესო ცხრიალი:

1.ინვერნესი	1	1	0	0	3-0	3
2.აბერდინი	1	1	0	0	2-1	3
3.სელტიკი	1	1	0	0	2-1	3
4.სტ.ჯონსონი	1	1	0	0	1-0	3
5.მოზერველი	1	1	0	0	1-0	3
6.პაატრიკი	1	0	1	0	0-0	1
7.დ.იუნაიტედი	1	0	1	0	0-0	1
8.კილმანროკი	1	0	0	1	1-2	0
9.როსი	1	0	0	1	1-2	0
10.ჰიბერნიანი	1	0	0	1	0-1	0
11.სტ.მირენი	1	0	0	1	0-3	0
12.ჰართსი	1	0	0	1	0-1	-15

შენიშვნა: ჰართს დაკლებული აქვს 15 ქულა

შვეიცარია. სუპერლიგა

თუნი-არაუ 2:2

ციურიხი-იანგ ბოიზი 1:3

ლუცერნი-სიონი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

შტურმი-რაპიდი 2:4

ბელგია. პროლიგა

გენტი-მეხელენი 2:1

სტანდარდი-ლიერსი 3:0

ოსტენდე-ბრიუგე 1:2

ჩეხეთი. გამმბინესლიგა

ბოლესლავი-ლიბერეცი 4:0

ტეპლიცე-დუკლა 2:1

იაბლონეცი-სლოვაკეკო 2:1

ბრნო-სპარტა 1:3

პოლონეთი. ექსტრაკლასა

გურნიკი-პიასტი 2:1

შლიონსკი-ვისლა 0:0

ზაგლებიე-ლეხი 0:0

უკრაინა. ჩემპიონიგა

შახტარი-დინამო 3:1

ჩერნომორეცი-მეტალურგი(დ) 1:0

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ვიბორგი 4:2

კოპენჰაგენი-რანდერსი 1:3

ბრონდბიუ-ესბიერგი 0:2

შვედეთი. ალსვენსკა

ატვიდაბერგი-გეფლე 1:1

ჰალმშტადი-მალმიო 1:3

გიოტებორგი-ჰეკენი 3:1

ნორვეგია. ტიპეღიგა

სარპსბორგი-სტრომგოდსეტი 2:4

რუსენბორგი-სონგდალი 2:0

ჰონეფოსი-ალესუნდი 2:5

ჰაუგესუნდი-ულფი 3:1

ტრომსო-ვოლერენგა 2:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კუუპიო-ჰიკი 0:0

ვპს-მარიეჰამნი 2:2

ჰონკა-ინტერი 0:0

ირლანდია. ჩემპიონ დივიზიონი

ბრე-შელბურნი 1:1

აშშ. მლს

ნიუ ინლენდი-ტორონტო 0:1

ბრაზილია. სერია ა

ატლეტიკო(პ)-გოიასი 2:0

გრემიო-ინტერნასიონალი 1:1

კრიუზუმა-კორინთიანსი 0:2

პონტე პრეტა-ფლუმინენსე 1:1

ფლამენგო-ატლეტიკო(მ) 3:0

ვასკუ-ბოტაფოგო 2:3

ვიტორია-პორტუგეზა 2:1

არგენტინა. ჩემპიონ დივიზიონი

სან ლორენცო-ოლიმპო 2:1

ლანუსი-ბელგრანო 3:0

ხიმნასია-რივერ პლეიტი 1:0

როსარიო-ქილმესი 2:0

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

ნინო ქათამაძე ესპანეთში მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბა მიყვარდეს. ასეთ შემთხვევაში, ადამიანს არ შეუძლია ხელოვნურად მოიგონოს თავის თავზე ის, რაც რაც არასდროს ყოფილა.

– 90-იანი წლების დასაწყისში ბათუმის მუსიკალურ ინსტიტუტში ჩააბარეთ, მაშინ სამოქალაქო ომი დაიწყო. სიღარიბის ხომ არ შეგეშინდათ? არასოდეს გიფიქრიათ, პარალელურად სხვა პროფესიას დაუფლებოდით?

– ამის დაშვება შეუძლებელია. ჩვენი გიტარისტი გოჩა ყაჭეიშვილი ფანტასტიკური მხატვარია. ფერწერა მუსიკის პირდაპირი გაგრძელებაა. თუმცა მას ხატვისთვის არასოდეს სცალია, რადგან დრო არ აქვს. ჩვენ ჯგუფში არაერთხელ გვისაუბრია, რომ სხვა საქმით არ უნდა დავკავდეთ. ღმერთს ვთხოვ, რომ არასდროს მომიწიოთ სხვა საქმის კეთება. ამ დრომდე ვერ აღვიქვამ მუსიკას, როგორც ჩემს სამსახურს, მე მუსიკით ვცხოვრობ. მუსიკა ჩემთვის სულაც არ არის მიზეზი, რომ ფული გამოვიმუშავო, ის ჩემი სუნთქვაა. თუ მუსიკა გაჩერდება – მოვკვდები! ყველა მოწმეა, როგორი განსაკუთრებული მონდომებით და ყურადღებით ვამოწმებ აპარატურას კონცერტამდე, დავდივარ სცენაზე და ყველაფერს დეტალურად ვაკონტროლებ. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ საკუთარი თავი წარმოვაჩინო, არამედ იმიტომ რომ მუსიკა კიდევ უფრო კარგად ჟღერდეს.

– როგორ ფიქრობთ, კარგ მუსიკას შეუძლია შეცვალოს ადამიანი?

– მუსიკა ძალიან ძლიერად მოქმედებს ადამიანზე – მის ხასიათზე, სიარულის მანერაზე, ტანსაცმელზე, გემოვნებაზე. ადამიანის ხმითაც კი შეიძლება განსაზღვრო რას უსმენს ადამიანი. მეტსაც გეტყვით, ორი ადამიანისთვის ძალიან ძნელია ერთად ცხოვრება, თუ მათ საერთო მუსიკა არ აქვთ. ის ადამიანზე საოცრად მოქმედებს, საჭიროა მხოლოდ სწორად და, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად შეარჩიო იგი. მაგრამ თუკი არის მომენტი, როცა საერთოდ არ გინდა არანაირ მუსიკას მოუსმინო, სწორედ ეს არის მთავარი მუსიკა.

– თქვენს კონცერტებზე იგრძნობა, რომ მუსიკასთან ინტიმური ურთიერთობა გაქვთ. რთულია იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე მუსიკას არ უსმენთ.

– როდესაც საჭესთან ვარ, მაშინ არ შემიძლია მუსიკის მოსმენა, რადგან მას მთელი ჩემი ყურადღება მიაქვს და ორიენტაციას ვკარგავ, ისიც კი არ მესმის, რომ სხვა მძღოლები მისიგნალებენ.

– როცა საოჯახო საქმეებს აკეთებთ?

– ისე ი შვიათად ვარ სახლში... უკვე დამავიწყდა კიდეც, რა არის საოჯახო საქმე. წელიწადში 8 თვე გასტროლები მაქვს. ცოტა ხნით ვიყავი თბილისში და ორი კვირა ვერ გამოვნახე დრო იმისთვის, რომ ჩემოდნიდან ნივთები ამომელაგებინა. ამ პერიოდში ძირითად დროს ვუთმობ ჩემს შვილს, ქმარს, ახლობლებს, მეგობრებს. სტუმრების მიღება და გამასპინძლება მიყვარს. ჩემთვის ძალიან გადაფასდა ყოფითი ნივთები – მანქანა, ახალი ტანსაცმელი. არც ერთხელ არ მახსოვს ბოლო 10 წლის განმავლობაში რომ რამე ახალი მეყიდოს ჩემთვის ან თვითონ წავსულიყავი დასასვენებლად, იმიტომ რომ ეს იმდენად არ მახარებს, როგორც ადამიანები, რომლებისთვისაც შემიძლია ძალიან მცირედი გავაკეთო.

– ასეთი გადატვირთული გრაფიკის დროს რთული არ არის შეინარჩუნო ახლო ურთიერთობები?

– ჩემი მეუღლე ექიმია. ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როცა ფეხი გავიჭერი და მასთან მიღებაზე მივედი. ის გადახვევებს მიკეთებდა. ჩვენ უკვე 7 წელია ერთად ვართ და მის მიმართ ისევ ისეთი გრძნობები მაქვს, როგორც მაშინ, როცა ერთმანეთი გავიცანით. თუ გინდა ყოველთვის იყო შეყვარებული, არ ღირს არც შენი და არც სხვისი გრძნობების ანალიზი, მათი დაყოფა პერიოდების მიხედვით, სხვადასხვა სახელების დარქმევა. ყველაფერი ისე უნდა მიიღო, როგორც არის – როცა შენს ცხოვრებაში მოიწყობ დღესასწაულს, რომელსაც სიყვარულს არ დაარქმევ.

– გასტროლის დროს ალბათ ძალიან გენატრებათ თქვენი შვილი.

– რა თქმა უნდა, მაგრამ მშვენელის სიყვარული და სურვილი მას ვეკონტაქტო. მას ნიკოლასი ჰქვია, ხუთი წლისაა. ის ბაკურიანში ავიყვანე მაშინ, როცა ნაძვების დამტვერვა იყო, მისი არომატი ძალიან სასარგებლოა. ბოლო საათნახევრის განმავლობაში სამჯერ დავურეკე. მას უკვე შეუძლია სკაიპის გამოყენება.

– ალბათ შეჯახებიხართ სტარეოტიპებს ქართულ ტრადიციულ ოჯახთან დაკავშირებით, სადაც ქმარი ყოველთვის მთავარია და ქალი, პირველ რიგში, დედა და ცოლი? ასეთ დამოუკიდებელ და შემოქმედებით ადამიანს ეს ხელს არ გიშლიდათ?

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტივი. თუმცა მგონია, რომ იყოს თუ არა დამჯერი ქალი, ამას თვითონ ირჩევს. პირადად, ძალიან მომწონს ვიყო დამჯერი, იმ გაგებით, რომ სიამოვნებით ვუსმენ საყვარელი ადამიანის აზრს. მომწონს მისი მონაწილეობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მე შემიძლია. სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ ვიღაცა ჩემზე მაღლა დგას და მიცავს, ჩემზე ზრუნავს. პრობლემები მხოლოდ სოციალური საკითხებით შეიძლება წარმოიშვას. ქართველი მამაკაცები ვერ მიეჩვივნენ იყვნენ ძლიერები მხოლოდ იმისთვის, რომ იზრუნონ ქალებზე, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია შეეძლოთ ოჯახის შენახვა და შენარჩუნება. როცა რამდენიმე თაობას არ აქვს შესაძლებლობა ისწავლოს და იცხოვროს საკადრისად, რასაკვირველია, ეს არასწორ ხასიათს აყალიბებს, ამიტომაც აუცილებელია ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყოს.

– ამ წარმატებამდე რთული პერიოდები გაიარეთ?

– ბევრი რამ იყო და არავინ იცის, კიდევ რა იქნება: ასეთია ცხოვრება! მახსოვს 13 წლის წინ მე და ჯგუფი პირველად ჩამოვედით ბათუმიდან თბილისში ფესტივალზე და ფეხსაცმელიც კი არ მქონდა, რომ სცენაზე გამოვსულიყავი. საბედნიეროდ, ფეხსაცმელი ვითხოვე და სცენაზე გამოვედი. ეს არ მახსენდება როგორც სიღარიბე და სიღატაკე, პირიქით, განწყობილი ვარ, რომ ჩემი ყველანაირი მდგომარეობა გადავიტანო მუსიკაში, იმიტომ რომ ძალიან კარგად ვგრძნობ ხმებს, რომლებიც ჩემამდე მოდიან და მადლობა ღმერთს, რომ ისინი ჩემთან მოდიან. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, აბსოლუტურად უცნობი ადამიანები, თანამემამულეები, ყოველთვის მეხმარებოდნენ – მაძლევდნენ პურს, მჩუქნიდნენ კეთილ ურთიერთობებს და შეგრძნებებს, რომ ადამიანმა ყოველთვის უნდა სხვაზე იზრუნოს, გაუნაწილოს, მხარი დაუჭიროს. ახლა ჩემთვის ყველაზე კეთილი ადამიანი ის არის, ვინც არც იცის არც სახელი, არც გვარი, ეხმარება. ამ გამოცდილებამ გაცილებით მეტი მომცა, ვიდრე სხვა ნებისმიერმა მდგომარეობამ, იმიტომ რომ სირთულეების გავლის შემდეგ, ყველას არ ახსოვს, რომ ოდესღაც თვითონაც მშიერი იყო.

– რომელი ყველაზე ბრძნული რჩევა მოგცათ თქვენმა ვოკალის პედაგოგმა მურმან მახარაძემ?

– გაიღიმე! ის მიხსნიდა, რომ თუკი არ იღიმები, გამოდის, რომ შენი ნამღერი ჟღერს მოწყენილად და როცა იღიმები, თან მუსიკაში ყვები სევდიან ისტორიას, გამოდის, რომ ამ ისტორიის მეგობარი ხარ. ის ფაქტი, რომ მუსიკაში დამოუკიდებლად გავიხსენი და ჩემეული სტილი მაქვს, ჩემი პედაგოგების დამსახურებაა. როდესაც მაესტრომ მიმიღო კურსზე, პედაგოგებმა მეტსახელად კარმენი შემარქვეს. ეს ადამიანები ახლაც იმდენს ნიშნავენ ჩემთვის, რომ მათთვის არაფერს დავიშურებ, ყველაფერს გავიღებ, იმიტომ რომ თავის დროზე მათ რაც ჰქონდათ, ყველაფერს მე მაძლევდნენ.

ეკა ირემაშვილი

„გრძელი ნათელი დღეები“ ისევ გამარჯვებულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტივალზე შედგა, სადაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოიპოვა. ფილმი საუკეთესოდ დაასახელეს ევროპულ კინოფესტივალზე „ვოის 2013“, ვისბადენის კინოფესტივალ „გოუისთ“-ზე მთავარი პრიზისა და 100.000 ევროს ოდენობის ჯილდოს მფლობელი გახდა. ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივმა ნამუშევარმა წარმატებას მიაღწია სლოვაკეთში საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ორი პრიზი დაიმსახურა. საუკეთესო შესრულებისათვის მსახიობ ქალებს შორის აღიარეს 14 წლის ლიკა ბაბლუანი. პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის კი გადაეცა ნანა ექვთიმიშვილსა და სიმონ გროსს.

ჟიურის მოტივაცია ლიკა ბაბლუანის პრიზისთვის ასეთია:

„ჩვენ ქედს ვიხრით დიდი ნიჭის მქონე ახალგაზრდა ტალანტების წინაშე, რომელთა ნიჭი უკვე ამ ადრეულ ასაკში ვლინდება და საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უნარებით, ინტუიციით და გონებით“.

რაც შეეხება ჟიურის მოტივაციას ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის პრიზისთვის:

ჟიური აჯილდოვებს რეჟისორებს „იმ უზარმაზარი თანამშრომლობისთვის, რომელიც საზრიანად აკავშირებს ერთმანეთთან ბრწყინვალე საოპერატორო ნამუშევარს, შესანიშნავ სამსახიობო შესრულებას, ხმის ელემენტებს და ძლიერ ისტორიას, რომელიც ქმნის ამაღელვებელ საგას მოზარდების შესახებ და რომელიც ძალიან ძლიერ კინო-სივრცეში არის მოთხრობილი“.

ფილმის „გრძელი ნათელი დღეების“ პრემიერა გაიმართა და დაჯილდოვდა ამა წლის ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე. „გრძელი ნათელი დღეები“ ასევე მიიწვიეს კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე სექციაში „ვერაიეთის 10 საუკეთესო ევროპელი რეჟისორი.“ ყოველ წელს ჩრდილოეთ ამერიკის ცნობილი კინოჟურნალი „ვერაიეთი“ წლის საუკეთესო 10 ფილმს ირჩევს და კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე კინოიდუსტრიის წარმომადგენლებს და ფესტივალის მაყურებელს წარუდგენს. ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის გახმაურებული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ათ ევროპულ ფილმს შორის მოხვდა. მართალია ქართული ფილმი არასაკონკურსო პროგრამაში იქნა წარდგენილი, თუმცა მისი შემქმნელების აზრით, ესეც დიდი გამარჯვებაა.

„გრძელი ნათელი დღეები“ უკვე მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებში და ჟიურისა თუ მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. ფილმი წარდგენილი იყო ბერლინალეს ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში, ჰონგ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ვოლოგდის დამოუკიდებელი ევროპული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე. სურათის გაგზავნა ასევე დაიგეგმა პარიზის კინოფესტივალზე, სადაც ფილმი საკონკურსო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი ვოლოგდისა და ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალებზე, სადაც ფილმი ასევე საკონკურსო პროგრამაში მოხვდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ფილმისთვის მაინც წლევანდელი ბერლინალე აღმოჩნდა – სიმონ გროსი წარმოშობით ბერლინელია, ნანა ექვთიმიშვილი კი იქ სწავლობდა და ბერლინში ათ წელზე მეტია რაც ცხოვრობს. შეიძლება ითქვას, პრემიერა მათთვის მშობლიურ ქალაქში გაიმართა.

ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. მას სუბსიდირება გაუწია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა და ფილმისათვის 250 000 ლარი გამოყო. ფილმის კოპროდიუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები, ფილმს ასევე სუბსიდია გაუწიეს გერმანიის და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებმა. ფილმის ოპერატორია რუმინელი ოლეგ მუტუ, რომელიც ოპერატორია ისეთი ფილმებისა, როგორებიცაა კრისტიან მუნჯუს „გორაკებს მიღმა“, „4თვე, 3კვირა, 2დღე“, ასევე სერგეი ლოზნიცას ფილმები: „ნისლში“, „ჩემი ბედნიერება“ და ალექსანდრე მინდაძის „ერთ შაბათს“. ამ ფილმებმა მრავალი პრიზი და აღიარება დაიმსახურა კანისა და ბერლინის კინოფესტივალებზე. 2007 წელს კრისტიან მუნჯუს ფილმს „4თვე, 3კვირა, 2დღე“ კანის ფესტივალის მთავარი ჯილდო – ოქროს პალმის რტო ერგო. ფილმის სცენარი ნანა ექვთიმიშვილს ეკუთვნის, მონტაჟი – შტეფან შტაბენოვს, პროდიუსერები – სიმონ გროსი, მარკ ვეხტერი, კო-პროდიუსერი – გიომ დე სეიე, მთავარ როლებში – ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია, როლებში – თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ლომიძე.

ერთობლივი ფილმი ორი თინეიჯერი გოგონას, ნათიასა და ეკას ცხოვრებას 90-იანი წლების ფონზე ასახავს. ფილმში გაცოცხლებულია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი დღეები.

როგორც ფილმის რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილი აცხადებს:

– ასამდე სკოლა მოვიარეთ, სანამ ეკას როლის შემსრულებელს ვიპოვიდით. ნათია კი ქუჩაში შევნიშნეთ და მაშინვე გადაღებებზე მივიწვიეთ. კასტინგი მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა, ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩას და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმ დროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპით და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება... ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, თურა გამოწვევების წინაშე დგებიან ფილმის მთავარი გმირები და რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი, – ამბობს ფილმის ქართველი რეჟისორი.

კითხვაზე, თუ როგორ გაჩნდა ფილმის იდეა, რეჟისორი პასუხობს:

– თბილისში დავიბადე და გვიან 90-იან წლებში საქართველოდან გერმანიაში, სასწავლებლად გავემგზავრე. სწავლის პერიოდშივე გამიჩნდა იდეა ფილმის შესახებ, რომელშიც ამბავი ორი თოთხმეტი წლის გოგონას შესახებ, 90-იანი წლების თბილისში არის მოთხრობილი. იმ წლებში მეც ჩვენი გმირებივით ყოველ დღე პურის რიგში ვიდექი, თუმცა ამას ტრაგედიად სულაც არ აღვიქვამდი. გერმანიაში ყოფნისას ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ დროზე, ჩემს მეგობრებზე... იმაზე რაც ჩემს ცხოვრებაში და ჩემს სიახლოვეს მოხდა. ამ ყველაფერმა ფილმის სცენარამდე მიმიყვანა. 90-იანი წლები ძალიან დიდი თემაა, ჩვენი ისტორიაა, რომელიც ყველას შეეხო, ძალიან მტკივნეულად, ადამიანების და თაობების ბედი შეცვალა. ფილმის ამბავი ჩემი მახსოვრობიდან, ჩემი მაშინდელი მოგონებებიდან და შეგრძნებებიდან წარმოიშვა. ჩვენი ფილმის მოქმედება 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ვითარდება. თავიდანვე ასე იყო, რომ ფილმის მოქმედება აუცილებლად გაზაფხულ-ზაფხულში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა რომ ზამთარმა საოცრად ზუსტად და სასტიკად ასახა ის დრო, ამ ფილმის იდეას ჩემთვის წელიწადის თბილი და მზიანი დრო უფრო ზუსტად ეხმაურება.

ქართველი მაყურებელი ფილმს „გრძელი ნათელი დღეები“ სექტემბრის ბოლოს იხილავს.

ეკა ირემაშვილი

„ჩემი ფუნიკულიორი“ დასრულებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბოლოს შეარჩია საკონკურსო ნამუშევრები, რომლებიც გამოიფინა „არტ-ავენიუ“-ს გალერეაში, კონკურსში გამარჯვებული 3 ფოტოს ავტორი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზებით. დავგეგმეთ ორიგინალური სიურპრიზიც – პროექტს შემოუერთდნენ „წითურების“ კლუბის წევრებიც. საქართველოს „წითურების“ კლუბი სოციალური ქსელის მეშვეობით დაარსდა და 200-მდე წევრს ითვლის. ბევრი მათგანი ერთმანეთს პირადადაც არ იცნობდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც „წითურების“ კლუბში გაერთიანებულები ერთმანეთს შეხვდნენ. კიდევ ერთი ორიგინალური პროექტი ამ ღონისძიების ეგიდით იყო ტყუპების სტუმრობა „მთაწმინდის პარკში“. მათი ასაკი შეუზღუდავი იყო. მათ შეეძლოთ დაეხატათ და მონაწილეობა მიეღოთ ფოტოსესიაში. ჩვენ შევუერთდით საახალწლო დღესასწაულსაც, 3 კვირის განმავლობაში დაიგეგმა საბავშვო პროგრამები, კონცერტები, თეატრალური წარმოდგენები, გაიხსნა ძველი ტრამვაის ხაზიც. მიგვაჩნია, რომ ჩვენმა პროექტმა საკმაოდ გამოაცოცხლა „მთაწმინდის პარკი“ და რაც მთავარია, ქართველი მხატვრების მიერ არაერთი ღირებული და მნიშვნელოვანი ნამუშევარი შეიქმნა, – განაცხადა ქეთევან კორძახიამ.

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად; 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. მარალმთიანი ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. საცხოვრებელი სახლის ზედა სართული თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 11. განახლება, სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 14. სწავლა-განათლების და მეცნიერების მტერი; 15. სტაფილოში არსებული მოყვითალო ფერის პიგმენტი; 16. ცხენოსანი ჯარის, კავალერიის ქვედანაყოფი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 21. გამაგრილებელი სასმელი; 22. იაპონური აბანო.

თარაზულად; 1. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 5. აღდგომის მისალოცი ქართული ხალხური სიმღერა; 7. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. თვითმფრინავის გემის ტარების სპეციალისტი; 22. ცეცხლგამძლე კარადა; 23. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 24. ხუმარა ენამოსწრებული ადამიანი; 25. იტალიელ ფერმწერ რაფაელის გვარი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. ქათამი; 7. ბისკვიტი; 8. სკივრი; 10. მერია; 11. ფილიპინები; 13. აბდომენი; 16. კრემლი; 19. ანტრაქტი; 20. კინეტიკა.

შვეულად: 1. პანკისი; 2. ამური; 3. დიატრიბა; 4. ზვიგენი; 5. კილვატერი; 9. კანონი; 12. არტერია; 14. ბრამსი; 15. მონა; 17. ლასტი; 18. საბა.

სკანვორდის პასუხები:

1. ჰალვა; 2. რელსი; 3. რაე; 4. ჰანოი; 5. ჩაი; 6. ვია; 7. მექა; 8. აისი; 9. ადის; 10. არაუკარია; 11. კანტორა; 12. „ოტელო“; 13. ურანია; 14. აკონკაგუა; 15. აბორიგენი; 16. აიეტი; 17. პა; 18. ტიარა; 19. ანეტო; 20. ანცი; 21. ბოი; 22. ტურისტი; 23. პრინცი; 24. კობრი; 25. ავტო; 26. ლასო; 27. ალმასი; 28. რაფსოდია; 29. კარე; 30. რძე; 31. ძრავა; 32. პრემიერი.

სურათებზე: სარა ბაქსტონი; ესტებან ალვარადო.

აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში აშშ-ის საელჩოები დაიხურა



აშშ-ის განცხადებით, ჩრდილოეთ აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში აშშ-ის რამდენიმე საელჩო ტერაქტების საფრთხის გამო შაბათამდე დახურული იქნება. ამის შესახებ „ბი-ბისი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, გუშინ 21 ქვეყანაში მდებარე აშშ-ის საელჩო და საკონსულო დაიხურა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, დიპლომატიური კორპუსების დახურვა უსაფრთხოების მიზნით გადაწყდა და არა – ახალ მუქარაზე რეაქციის გამო.

დეპარტამენტის ინფორმაციით, ალჟირში, ქაბულსა და ბაღდადში დახურული აშშ-ის წარმომადგენლობები დღეს ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას, თუმცა დიპკორპუსები შაბათამდე ვერ იმუშავებენ აბუ დაბიში, ამანში, ქაირშოი, დუბაში, ქუვეითში, ტრიპოლსა და რამდენიმე სხვა ქვეყნის დედაქალაქში.

ამასთან, აგვისტოს ბოლომდე ძალაში რჩება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გასულ კვირას მოქალაქეებისთვის მიცემული გაფრთხილება, თავი შეიკავონ ზემოხსენებულ ქვეყნებში მოგზაურობისგან.

გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკელ მოქალაქეებზე და ქვეყნის დიპკორპუსებზე თავდასხმის რისკი „ალ ქაიდას“ მხრიდან განსაკუთრებით მაღალია შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.

გასული წლის 11 სექტემბერს ლიბიის ქალაქ ბენღაზიში ამერიკის საკონსულოზე თავდასხმას ამერიკის ელჩი კრისტოფერ სტივენსი და საელჩოს კიდევ სამი თანამშრომელი ემსხვერპლნენ. ამერიკის საელჩოები სხვადასხვა ქვეყნებში ხშირად ხდებიან თავდასხმების სამიზნეები.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

დიდი ბრიტანეთის დედოფლის აქამდე უცნობი მიმართვა გამოქვეყნდა

დიდ ბრიტანეთში, 30 წლის შემდეგ ცივი ომის დროინდელი უჩვეულო ისტორიული დოკუმენტი გამოაქვეყნეს: ეს არის დედოფალ ელისაბედ მეორის ერისადმი მიმართვა, რომელიც მას სსრკ-ს მხრიდან თავდასხმის და ბირთვული ომის დაწყების შემთხვევაში უნდა წარმოეთქვა, ინფორმაციას „სქაი ნიუსი“ ავრცელებს.

მიმართვის ტექსტი იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ მომენტში დაიწერა – 1983 წელს, ნატოს სამხედრო წვრთებმა საბჭოთა ხელმძღვანელობასთან ლამის რეალური კონფლიქტი გამოიწვია. ამას გარდა, პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა ჩამოგდებულ სამხრეთ კორეულ თვითმფრინავთან დაკავშირებით, რომელსაც კურსი აერია და საბჭოთა საჰაერო სივრცეში აღმოჩნდა. სალონში მყოფი 269 ადამიანი დაიღუპა.

გამოქვეყნებული დოკუმენტი ქაღალდების პაკეტის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ბრიტანულმა ნაციონალურმა არქივმა გამოაქვეყნა. მასში კერძოდ ნათქვამია, რომ ქვეყანა შეეჯახა „ომის უგუნურებას“ და მზად უნდა იყოს „გადარჩეს, ყველა გამოწვევის მიუხედავად“.

„როდესაც სამი თვის წინ მოგმართავდით, ყველანი ოჯახური შობის სითბოთი და კეთილგანწყობით ვტკბებოდით. ჩვენი აზრები მიმართული იყო მჭიდრო კავშირებზე, რომელიც თითოეულ თაობას ერთმანეთთან აკავშირებს. მაშინ, ომის საშინელებები ძალიან შორეულად ჩანდა(...). ახლა ომის უგუნურება კვლავ ვრცელდება მსოფლიოში და ჩვენი გმირი ქვეყანა უნდა მოემზადოს, რათა გადარჩეს ყველაფრის მიუხედავად“, – ნათქვამია გამოსვლაში, რომელიც როგორც ამტკიცებენ, თავად დედოფალს არასოდეს წაუკითხავს და არც კი უნახია.

„ყველამ ვიცით, რომ დღეს ჩვენ წინაშე მდგარი საფრთხეები აღემატება მას, რასთანაც ოდესღაც, ჩვენს ხანგრძლივ ისტორიაში შეხება გვქონია. დღევანდელი მტერი არ არის თოფიანი ჯარისკაცი და არც მფრინავი, რომელიც ჩვენი ქალაქების და სოფლების თავზე დაეხეტება, არამედ ეს არის სასიკვდილო ძალა, რომელიც ტექნოლოგიებს იყენებს. მაგრამ რა საშინელებანიც არ უნდა გველოდოს წინ, გვაქვს ხასიათი, რომელიც კვლავ იქცევა ჩვენს ძალად და თავისუფლების შენარჩუნებაში დაგვეხმარება, როგორც ეს უკვე ორჯერ მოხდა ამ მწუხარებით სავსე საუკუნეში“, – ნათქვამია დედოფლის მიმართაში.

ბრეივიკი ყველაზე „ლიბერალურ“ ციხეში გადაჰყავთ

ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრეივიკი ნორვეგიის ყველაზე „ლიბერალურ“ ციხეში გადაჰყავთ. უცხოური მედიის ინფორმაციით, ბრეივიკი ილას ციხიდან შიენის ციხეში დროებით გადაჰყავთ, რომელიც ნორვეგიულ პენიტენციალურ სისტემაში შედარებით ლიბერალურ სასჯელაღსრულების დაწესებულებად ითვლება.

„მან რამდენიმეჯერ ითხოვა გადაყვანა, თუმცა ამჯერად გადაყვანა ამის გამო არ ხდება“, – განაცხადა ნორვეგიის პენიტენციალური სამსახურის უფროსმა, იან ერიკ სანდლიმ. მისივე განმარტებით, ნორვეგიაში პატიმრის ერთი ციხიდან მეორეში დროებით გადაყვანა მიღებული ნორმაა.

ანდერს ბრეივიკი შიენის ციხეში მანამდე იყო, სანამ ილეში მისი საკანი რემონტდებოდა. ტერორისტი ითხოვს, ისევ შიენში დაბრუნებას, რადგან ამბობს, რომ კუნძულზე იზოლაცია წამებაა. ამასთან, მან არაერთხელ დაიჩივლა, რომ ილეში ცუდი პირობებია, კერძოდ, მას ცოტა კანფეტს აძლევენ და ყოველდღიურად ხდება მისი შემოწმება.

აღსანიშნავია, რომ ბრეივიკის საკანი 3 ოთახისგან და 8 კვ. აივნისგან შედგება. საძინებლის და მისაღების გარდა, მას აქვს სავარჯიშო ოთახიც. გარდა ამისა, მას დღეში 1 საათის განმავლობაში ეზოში გასეირნების უფლება აქვს.

ნორვეგიელი ტერორისტი, ანდერს ბრეივიკი 77 ადამიანის მკვლელობაშია ბრალდებული. 2011 წლის 22 ივლისს, მან ჯერ აფეთქება ოსლოს ცენტრში მოაწყო, შემდეგ კი კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდულ ბანაკს დაესხა თავს. ამ თავდასხმას ერთი ქართველი გოგონა, თამთა ლიპარტელიანი ემსხვერპლა.

ნორვეგიის სასამართლოს 2012 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით ანდერს ბერინგ ბრეივიკს მიესაჯა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვადის გაზრდის შესაძლებლობით.

აშშ ირანის ახალ პრეზიდენტთან პარტნიორობისთვის მზადაა

თეთრი სახლი, ირანის ახალი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის მიერ უფლებამოსილებების შესრულების დაწყებას განცხადებით გამოეხმაურა, რომელშიც „პარტნიორობის“ მზადყოფნა და ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ საკითხების გადაწყვეტის იმედი გამოთქვა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

მაჰმუდ აჰმადინეჯადის მმართველობის ბოლოს ურთიერთობა ირანსა და ვაშინგტონს შორის საგრძნობლად გაფუჭდა. მასთან შედარებით, როუჰანს, პარლამენტში ყოველთვის შემრიგებლური პოზიცია ეკავა.

„საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში ჩემი მთავრობა ეცდება გაამყაროს ურთიერთობები ირანსა და რეგიონისა და მსოფლიოს ქვეყნებთან“, – აცხადებს ახალი პრეზიდენტი.

„ვაშინგტონში კი ბოლო დღეებში გაჩნდა შეგრძნება იმისა, რომ ირანთან ურთიერთობებში შესაძლოა მრავალწლიანი ჩიხიდან გამოვიდეს“, – წერს „ბი-ბი-სი“.

როუჰანმა, რომელიც წარსულში ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებზე ირანის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ასევე აცხადებს, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს მშვიდობიანობით შეინარჩუნოს და რომ ირანი არ გახდება ომის დამწყები არც ერთ ქვეყანასთან.

მან მინისტრების პოსტებზე თავისი ზომიერებით ცნობილი ადამიანები დანიშნა. თუმცა, ირანის ახალ პრეზიდენტს ჯერ ჯერობით არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ირანის ბირთვულ პროგრამაზე.

თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ როუჰანის ინაუგურაცია, „საშუალებას აძლევს ირანს სწრაფი მოქმედებებით გადაწყვიტოს მსოფლიო საზოგადოების შეშფოთებები, რომლებიც ირანის ბირთვულ პროგრამასთან არის დაკავშირებული“.

შეგახსენებთ, რომ ირანს უკვე ოფიციალურად ჰყავს ახალი პრეზიდენტი. დედაქალაქში გამართულ ცერემონიაზე ქვეყნის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ირანს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ირანი ისლამური რესპუბლიკაა, ამიტომ სულიერი ლიდერი აიათოლა უფრო მაღლა დგას ვიდრე ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი.

ჰასან როუჰანი თავად სასულიერო პირია, თუმცა მან სამ პრეზიდენტო არჩევნები რეფორმების და საერთაშორისო სანქციების მოხსნის პირობით მოიგო.

სამგლოვიარო განცხადებები

კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ცენტრის თანამშრომელს, პროფესორ ნინო ლორთქიფანიძეს გარდაეცვალა მამა

თეიმურაზ ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ბრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო, ჰელსინკის კავშირი – წმინდა ილია მართლის საზოგადოება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

მუშნი ლევანის ძე გულბანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა: სამშაბათს, 6 აგვისტოს.
მისამართი: თაბუკაშვილის 47.

ეკა ბეჟანიშვილის ქუჩის მცხოვრებნი ღრმა მწუხარებას გამოთქვამთ ქალბატონი

თამილა-ციცო ბახტაძე-რაზმაძის

გარდაცვალების გამო და ვუთანაგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

და-ძმები ვენერა ქარაია, ომარი, ნოდარი, დავითი, მეუღლე შოთა ხარონია, შვილები მადონა, იდა, სიძეები ნუგზარ თუთისანი, ენვერ კანჯიოღლი, ალექსანდრე მელაძე, რძლები სულიკო სალუქვაძე, ბულა შანავა, მანანა კოტორაშვილი, დალი კუკავა, გული სიჭინავა, და-ძმების შვილები, შვილიშვილები, ნათესავები მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა

ციცინო ნოჩოს ასული შონია-ხარონია

ძვირფასო ციცინო! ყველას დაგვწყვიტე გული. უკანასკნელ გზაზე ვეღარ გაცილებთ სისხლი და ხორცის გარკვეული რაოდენობა. 2013 წლის 7 აგვისტოს ჯგერდის მიწას მიგაბარებენ.

კეთილი იყავი და სიკეთეს თესდი. მადლობა სიძეებს, რომ განსაკუთრებულად დაგაფასეს – ნუგზარიმ და ენვერიმ. მადონა, იდა, შოთა მიგაცილებენ. ჩვენ კი ენგურს მარცხნივ ვტირით.

მადლობა უფალს! გფარავდეს ღმერთი!

და-ძმებისა და ნათესავების სახელით.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

სამშაბათი 6 აგვისტო

08.00 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" **09.10** საბ. ან/ფ "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**დედა**" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. "**შაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** მხ/ფ "**და ყველაფერი განათდა**" **00.00** მხ/ფ "**გოგონა წყლიდან**"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მეხიკო" **09.00** მხ/ფ "**შუსიკა და ლირიკა**" **10.30** "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **11.00** მხ/ფ "**ყველანი ციხეში**" **13.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **3** ნაწ. **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **4** ნაწ. **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – "სამართლიანი საქართველოსთვის" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" **1-2** სერ. **09.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ციკი გული**" **3** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაანაბეები**". **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული** 21.00 სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ქაღალდი– 4**" **3** სერ. **00.15** მხ/ფ. "**ვინდა გასწორდე**" (ე. დე რეივინი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "Open Season" **10.00** სერ. "**სიყვარული მუშეტერია**" **11.00** სერ. "**სრულმლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**ბაშიაჩუკი**" **14.00** სერ "**ერთგულების ქალა**" **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ

06.00, 08.55 , 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00 , 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ "**ოქროს ციებ-ცხელება**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ვედრება**" **13.10** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** გუთნისდედა **15.30** სპექტაკლი - "**ეს არ უნდა მოგხდარიყო**" **16.30** კონცერტი -ნიჭიეთა ათწლედი რომში **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** ჩვენი ფონდი **19.35** მხ/ფ "**ჟუჟუნას მზითვები**" **20.40** ძილი ნებისა **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ოვალური ბურთი" **00.30**მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" I ნაწ. **02.00** ირაო

7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.40, 4.30** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05** BBC სერიალი დიდი იმედები **3** გამ **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** სტერეოტიპი გამ **16.10** მატრიცა **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **20.00** სერიალი-ტკბილი შხამი **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6648

ევრო — 2,1990

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5228

100 რუსული რუბლი — 5,0299

ამინდის პროგნოზი 6 აგვისტოსთვის

„გრძელი ნათელი დღეები“ ისევ გამარჯვებულია

ნანა ჯორჯაძე იყო საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი.

თამარ ტატიშვილი – უკრაინული კონკურსის ჟიურის წევრი, მონაწილეობას იღებდა პანელ დისკუსიებში და პრეზენტაცია გააკეთა ქართულ-ბრიტანულ-გერმანული პროექტის „ეპიკი“ (რეჟისორი: ბენ ჰოპკინსი) წარმატებულად განხორციელების შესახებ.

ინდუსტრიულ შეხვედრებში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრს წარმოადგენდა დავით ვაშაძე, რომელიც დაინტერესებულ პირებს აცნობდა კინოცენტრის საქმიანობის სპეციფიკას და უახლოეს თვეებში დაიგეგმა რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული ფილმების კვირეულის ჩატარება.

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმი „გრძელი ანთელი დღეები“ ისევ წარმატებულია. ფილმმა ამჯერად გამარჯვება 2013 წლის ოდესის მე-4 საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა. ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონკურსში და გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი“ (ლიკა ბალუანი; მარიამ ბოკერია); ქართველი რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივი ნამუშევრისთვის ეს პირველი წარმატება არ არის. მისი პრემიერა ბერლინის საერთაშორისო კინოფეს-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ანდრო ჟორდანია დინამოს ბაზაზე გამოჩნდა

თბილისის „დინამოს" დიდმის საწვრთნელი ბაზის შესასვლელს უკვე ჰამდენიმე დღეა გამოჩენილი ქართველი მწვრთნელის – ანდრო ჟორდანიას ბარელიეფი ამშვენებს. ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს მოეხსენება, რომ „დინამოს" დიდმის ბაზა ქართული ფეხბურთის პატრიარქის სახელს ატარებს.

ანდრო ჟორდანია „დინამოს“ რიგებში 1925-28 და 1930-31 წლებში ასპარეზობდა. როგორც მწვრთნელი, „დინამოს“ 1945-47, 1955 და 1959-61 წლებში ედგა სათავეში და მისი ხელმძღვანელობით, თბილისელებმა საკავშირო ჩემპიონატში ორჯერ, 1947 და 1959 წლებში, მესამე ადგილი დაიკავეს. ასევე ორჯერ, 1946 და 1960 წლებში, ჟორდანიამ გუნდი თასის ფინალში გაიყვანა.

მ. ჯ

ნინო ქათამაძე ესპანეთში მიდის

მომღერალი ნინო ქათამაძე ესპანეთში მიდის. იგი მიწვეულია საერთაშორისო ფესტივალზე „სტარლაით“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რუსული კულტურის დღეები სახელწოდებით „მეიდ ინ იუესესერ“.

ფესტივალი 7 აგვისტოს გაიხსნება და მასში ნინო ქათამაძესთან ერთად პროექტის „ჯაზპარკინგის“ ერთ-ერთი წარმატებული წარმომადგენელი არტიომ კაჩარიანიც ჩაერთვება. ღონისძიებები ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ კურორტ მარბელიაში გაიმართება. ჯაზფესტივალი „სტარლაინ ფესტივალ“ უკვე 30 წელია მიმდინარეობს და მასში მსოფლიოს აღიარებული ჯაზშემსრულებლები მონაწილეობენ. 2013 წელს ამ ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია 14 კონცერტი ესპანელი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით. ჯაზის გარდა, საფესტივალო პროგრამაშია კინო, მოდა და სხვადასხვა მხატვრული ღონისძიებები.

ნინო ქათამაძე სხვადახვა ქვეყნებში დაგეგმილი ჯაზფესტივალების ხშირი სტუმარია. ის უკვე იმყოფებოდა ეკატერინბურგში ჩატარებულ ჯაზფესტივალზე „უსადბა ჯაზი“, რომელშიც 9 შემსრულებელმა მიიღო მონაწილეობა მთელი მსოფლიოდან. კონცერტებს ათასობით მსმენელი ესწრებოდა, თუმცა განსაკუთრებული მოლოდინი მაინც ნინო ქათამაძის საკონცერტო დღეს დაფიქსირდა – ქართველი მომღერლისა და მისი ჯგუფის „ინსაითის“ მოსასმენად ათასობით გულშემატკივარი ჩავიდა ეკატერინბურგში და დიდი ინტერესით დაელოდა ნინო ქათამაძის კონცერტს, სადაც მომღერალმა ჩვეულებრივად გააოცა თავისი მსმენელი.

ქართველ მომღერალს როგორც წესი, თავისი საგასტროლო ტურნე წლის ბოლომდე უკვე გაწერილი აქვს. მომღერალმა უკვე ჩაატარა კონცერტები უკრაინასა და რუსეთში. ესპანეთში გამართული ჯაზფესტივალის შემდეგ მომღერალს შვებულება აქვს, ხოლო შემოდგომიდან კვლავ დატვირთული საგასტროლო ტურნეები იწყება. 28 სექტემბერს ნინო ქათამაძე მოსკოვში ჩავა, სადაც „ინსაითთან“ ერთად კონცერტს გამართავს, 3 ნოემბრიდან კი მისი მასშტაბური გასტროლი იწყება რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ამ დღეს ის ზელენოგრადში იმღერებს, 5 ნოემბერს – ჟუკოვსკში, 8 ნოემბერს – კაზანში, 11 ნოემბერს – სამარაში, 13 ნოემბერს – უფაში, 15 ნოემბერს – ჩელიაბინსკში, 17 ნოემბერს – ეკატერინბურგში და 18 ნოემბერს – ტიუმენში.

როგორ ასწრებს დროის გადანაწილებას საკონცერტო ტურნეებზე, ოჯახსა და უახლოეს ადამიანებზე, ამ თემებზე ქართველი მომღერალი რუსული ჟურნალის „კოსმოპოლიტენის“ ჟურნალისტს ესაუბრა. მისი თქმით, ნინო ქათამაძე ყველაზე ნაზი ჯაზის მომღერალია. მან რუს ჟურნალისტთან ისაუბრა თემებზე, თუ როგორ მოქმედებს მუსიკა ხასიათზე, რატომ არ უნდა შევაფასოთ გრძნობები და რატომ არის საჭირო ყოველთვის დავრჩეთ შეყვარებულებად.

– თქვენ აჭარაში დაიბადეთ და გაიზარდეთ, ოჯახი პატრიარქალური იყო?

– ჩვენს დიდ ოჯახში ქალები მუშაობდნენ. ბებიაჩემი ექიმი კოსმეტოლოგი იყო. მამა – იუველირი. არასდროს გამიგია მისგან სიტყვები: „მე კაცი ვარ და ამიტომ გააკეთეთ ისე, როგორც მე სურს“. დედა 4 ბავშვს ზრდიდა, ამიტომ არ მუშაობდა. ჩვენს კუთხეში იყო თავისებური ტრადიციები, რომლებსაც ყოველთვის მძაფრად ვგრძნობდი. ამას ისიც ემატებოდა, რომ იყო სამოქალაქო ომი და გოგონებს მარტოებს არასდროს გვიშვებდნენ.

– და თქვენ დამოუკიდებლობა გინდოდათ, არა?

– ერთხელ ჩემს მშობლებს ავუმხედრდი და მათი კონტროლის წინააღმდეგ გავილაშქრე. ამის შემდეგ გავიგონე დედაჩემის საუბარი მამაჩემთან, ის მამას ეუბნებოდა, რომ საჭიროა ჩემი ჯერ კიდევ მკაცრი კონტროლი და მამამ უპასუხა: „ დიახ, მაგრამ მას სულ სხვა გზა აქვს. თუკი ის გავუშვით სასწავლებლად მუსიკალურ სკოლაში, ე.ი. მან ყველაფერი თვითონ უნდა შეიგრძნოს და გაითავისოს“. არასდეს დამავიწყდება სიტყვები, რომელიც მამამ მითხრა: „ძვირფასო, თავისუფლება ეს ნიშნავს პასუხი აგო საკუთარ თავზე“. ასეთი მიდგომა მგონია, რომ კარგი შესაძლებლობაა იყო გახსნილი, მათ შორის მუსიკაშიც.

– დედას აშინებდა თქვენი ასეთი ხასიათი?

– ჩემთან ურთიერთობა ადვილი არ იყო, იმიტომ რომ საკმაოდ ცელქი გოგო ვიყავი. მე შემეძლო მესაუბრა ნებისმიერი ასაკის ადამიანებთან, მათ შორის, ბიჭებთანაც და გოგონებთანაც. გარდატეხის ასაკში ყოველთვის აკონტროლებენ გოგონებს უფროსები, ეს ქალაქშიც კი ჩვეულებრივი მოვლენაა. 16-17 წლის ასაკში ყველაფერი არ გესმის და საშიშროებასაც ნათლად ვერ შეიგრძნობ. ჩემი შეჩერება შეუძლებელი იყო, ვცხოვრობდი როგორც ჩიტი, სადაც მინდოდა იქ მივფრინავდი. არავის შეეძლო დაეძალებინა ჩემთვის ის გამეკეთებინა, რაც არ მინდოდა.

–ბავშვური მოგონებები თქვენზე ძლიერად მოქმედებს?

– ძალიან მინდა, რომ ჩემმა შვილმაც შეიგრძნოს ის, რასაც მე ვგრძნობდი ჩემს ბავშვობაში. გავიზარდე ოჯახში, სადაც 18-20 ადამიანი იყო, მათ შორის ბებია, ბებიის მამა, ბაბუის და – ყველა ერთად ცხოვრობდა. როცა ასეთ ოჯახში იზრდები, ცხოვრების გაგრძელების აღარ გეშინია. სიყვარულმა, რომელიც ბავშვობაში მივიღე, მაჩუქა თავისუფლების შეგრძნების უნარი და საშუალე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ასტროპროგნოზი 6 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღე

ვერძი – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **კირჩხიბი** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ლომი** – ფული მალე გექნებათ, ცოტაც მოითმინეთ. **ქალწული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** – ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია იაქტიურთ. **დრიენქალი** – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **მშვილდოსანი** – ფიქრობთ და ეს კარგია, გადაწყვეტილებას მალე მიიღებთ. **თხის რქა** – ახალ საქმეს სკეპტიკურად უყურებთ, მაგრამ ის გაამართლებს. **მერწყული** – იმიჯის შეცვლა კარგია, საწადელს მიაღწევთ. **თევზები** – გამოცდას ჩააბარებთ, გახარებული ხართ!

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა

ვერტიკალურად: 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის ჭურჭელი ხევსურეთში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. ფართო, ხეივნიანი ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 6. ინგლისელი მწერალი; 11. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის მოთხრობა; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება, უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 17. ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი; 18. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 19. საზღვაო ხელშეკრულება.

თარაზულად: 7. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 8. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 9. იაპონური საავტომობილი კონცერნი; 10. თურქეთის პრემიერ-მინისტრი; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 16. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 18. ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების სისტემატური კრებული; 20. ვაშლის ღვინო; 21. აფრიკული ანტილოპა; 22. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



URUGVAIში ერთსქესიანი ქორწინებები კანონით ნებადართული გახდა

URUGVAIში კანონი ერთსქესიან ქორწინებების ლეგალიზაციის შესახებ ძალაში დღეს შედის. კანონპროექტმა კონგრესში ხმათა უმრავლესობა ჯერ კიდევ აპრილში მოიპოვა. კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ამ კანონს ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა ხოსე მუხიკომ ხელი მაინც მოაწერა.

აქტივისტების მონაცემებით, უახლოეს მომავალში URUGVAIში დაქორწინებას ექვსი ართსქესიანი წყვილი აპირებს.

URUGVAI, არგენტინის შემდეგ მეორე სამხრეთამერიკული ქვეყანა გახდა, სადაც ერთქესიანებს დაქორწინების უფლება მისცეს. აგრენტინაში ამგვარი კანონი ძალაში ჯერ კიდევ 2010 წელს შევიდა.

2001 წელს ნიდერლანდი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ერთსქესიან წყვილებს დაქორწინების იურიდიული შესაძლებლობა შეექმნათ. მას მერე, ასეთი ქორწინებები თოთხმეტმა სხვა ქვეყანამ დააკანონა. ერთსექსიან წყვილთა ქორწინება ასევე ნებადართულია მეხიკოში და აშშ-ის ცამეტ შტატში.

ერთი სქესის წყვილებს სამოქალაქო კავშირის, მაგრამ არა ქორწინების უფლება აქვთ 20-ზე მეტ ქვეყანაში. ამასთან, ისრაელი ცნობს სხვა იურისდიქციების მიერ ლეგალიზებულ ერთი სქესის ქორწინებებს, თუმცა თვითონ ის ასეთ ქორწინებებს არ ახორციელებს. ამჟამად პოლიტიკური და იურიდიული დებატები მიმდინარეობს ოცამდე სხვა ქვეყანაში და რამდენიმე აშშ-ის შტატში, ამ სახის ქორწინებების ლეგალიზებაზე.

ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი ასრულებს ერთი სქესის წყვილთა ქორწინების რიტუალებს, მათ შორის არიან კვაკერები.

ერთი სქესის წყვილთა ქორწინების მომხრეთა მტკიცებით, სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად ქორწინება ადამიანის უფლებაა. მათი მოწინააღმდეგეები საკუთარ არგუმენტებს ამგვარი ქორწინებების სოციალურ შედეგებზე ამყარებენ (მათ შორის ბავშვების აღზრდა, ტრადიციები და რელიგიური მოსაზრებები).

მოამზადა გერა მამულაშვილმა